ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, 2017 წლის სააღდგომო ეპისტოლე გვ.5



სამშაბათი, 18 აპრილი, 2017 №90 (7325) ფასი: 50 თეთრი

# ქართველმა ემიგრანტმა ნატო ჭანტურიამ საბერძნეთში მოხუცის გადასარჩენად თავი გაწირა



გვ.4

## რატომ ჩადის ლავროვი სოხუმში



გვ.2



„საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ეჭვს აჩენს“

## „სააკაშვილს ივანიშვილის დიდი ვალი აქვს“



გვ.3



ბეჟან ნათელაშვილი: „ოლიგარქი გავლენას მალე პინგვინებსა და ასწლოვან ხეებზეც დაკარგავს“

„მაჟორიტარების გაუქმებით ქვეყანაში პოლიტიკური პროსტიტუცია დასრულდება“

## ლევან ალაფიშვილი: „კონსტიტუციის ის ვარიანტი გავა, რომელიც უმრავლესობას მოსწონს“



გვ.2

## თელავში ყოფილ დეპუტატ ვასილ დავითაშვილს 8 ტყვია ესროლეს



გვ.4



გვ.6

„კანონის ახალი რედაქციით ამოქმედების შემდეგ ყოველ წელს თამბაქოს მოხმარება 1-2%-ით შემცირდება“



გვ.4

ქედაში ავარიას მცირეწლოვანი ემსხვერპლა. დაშავებულია 8 ადამიანი

## მეუფე იაკობი: „პატრიარქის მკვლელობა იგეგმებოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავიდან ბოლომდე ჩახედული ვარ“



გვ.4

დაცულობისა და უსაფრთხოების რეიტინგში საქართველომ 136 ქვეყანას შორის 29-ე ადგილი დაიკავა



გვ.6

## რას აპირებს ახალქალაქის საკრებულო



გვ.4

ISSN 1987-9385

# ლევან ალაფიშვილი: „კონსტიტუციის ის ვარიანტი გავა, რომელიც უმრავლესობას მოსწონს“

ნათია ხურცილავა






კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე საუბრობს.

***— ბატონო ლევან, როგორ შეაფასებთ კონსტიტუციის ახალ რედაქციას, რომლის ცალკეული ნორმები უკვე ცნობილია?***

— ჯერჯერობით მხოლოდ განცხადებებს ვისმენთ. ბოლომდე პროექტი საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ფორმალურად შეიქმნა, რადგან საკონსტიტუციო კომისიის წევრებმაც კი არაფერი იცოდნენ პროექტის არსებობის შესახებ, მაშინ როდესაც თბილისში ვიზიტად მყოფ ვენეციის კომისიის წევრებს ხელისუფლებამ უკვე კონსტიტუციის პროექტი გაატანა.

კომისიის შექმნამდე ხელისუფლებას არცერთი განცხადება არ გაუკეთებია, თუ რა ცვლილებები უნდა შესულიყო კონსტიტუციაში, რა მიმართულებით წავიდოდა ცვლილებები. თავიდანვე არ იყო მიზანი ცნობილი.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამას თუ ჩავხედავთ, კონსტიტუციაში ცვლილებებთან დაკავშირებით არაფერი წერია. იმ პროგრამაში, რომელსაც ქართველმა ამომრჩეველმა მხარი დაუჭირა, სამი რამ წერია: პირველი — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების კომპეტენციური დაბალანსება უნდა მოხდეს; მეორე — ტერიტორიული მოწყობის საკითხი და მესამე — საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებაზეა საუბარი.

***— თქვენ ამბობთ, რომ პრეზიდენტის თავს არ უნდა შეხებოდნენ?***

— მხოლოდ იმ სამ საკითხზე უნდა ემსჯელათ. რატომ არ ასახეს კონსტიტუციაში ტერიტორიული მოწყობის საკითხი? მათ თავიდანვე იცოდნენ, რომ ეს იყო ძალიან სახიფათო საკითხი, რომელსაც ვერ შეეხებოდნენ, რადგან ჯერ ტერიტორიული მთლიანობაა აღსადგენი, აფხაზებთან და ოსებთან სასაუბრო გვაქვს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ. „ქართული ოცნება“ ყველაფერზე მსჯელობს, რაც მის პოლიტიკურ ინტერესშია, გარდა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხებისა.

***— ამ პრეტენზიაზე ირაკლი კობახიძე საზოგადოებაში არსებულ კონსენსუსზე მიანიშნებს, რომ კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს.***

— ირაკლი კობახიძემ საკუთარი პარტიის პროგრამა წაიკითხოს, სადაც წერია, თუ რა ცვლილებებს განახორციელებდნენ ისინი კონსტიტუციაში.

***— რას იტყვით საპარლამენტო რესპუბლიკაზე? ბევრი ამბობს, რომ ამ ცვლილებებით კი არ გადავდივართ, არამედ უკვე გადასული ვართ საპარლამენტო რესპუბლიკაზე.***

— ჩვენ მმართველობის სისტემის გაუმჯობესებაზე უნდა ვიმსჯელოთ. კლასიკური გაგებით ვერ ვიმსჯელებთ და ვერ ვიტყვით, მართვის რა სისტემა გვაქვს დღეს. ვერ იმსჯელებენ ვერც ისინი, რომლებიც პარლამენტში არიან და კონსტიტუციონალიზმში მეტ-ნაკლებად ერკვევიან.

ერთი მაგალითი დამისახელონ საპარლამენტო რესპუბლიკის, ჩვენნაირი ტერიტორიული მოწყობის, სადაც უმსხვილესი პოლიტიკური ავტონომიის ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია არა პრეზიდენტის ანუ სახელმწიფოს მეთაურის, არამედ პარლამენტის წინაშე.

არსებული მოდელით, არც საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, არც საპრეზიდენტო და არც შერეული. შეიძლება, შერეულისკენ რაღაც თეორია განვავითაროთ. არ შეიძლება კონსტიტუციასთან, სახელმწიფოებრიობასთან ასე თამაში, ვის როდის მოუნდება, მაშინ შეცვალოს და რაც მოუნდება, ის ჩაწეროს. მით უფრო, ეს არ შეიძლება ჩვენნაირ ქვეყანაში, თორემ დალაგებულ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიას საუკუნოვანი ტრადიციები აქვს, კი ბატონო, ატარონ ცდები, იმსჯელონ თეორიულ ექსპერიმენტებზე.

***— ამ მიმართულებით არ ელოდით ცვლილებებს?***

— კონსენსუსი უნდა იყოს, თუ რა ცვლილებებს გავატარებთ. არის გასასწორებელი კონსტიტუცია, კი ბატონო, გავასწოროთ, მაგრამ კონსენსუსის საფუძველზე.

***— როდესაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია იქმნებოდა, პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ ვენეციის კომისიის შენიშვნებს აუცილებლად გაითვალისწინებენ. არ გჯერათ?***

— ეს არის სიტყვებით ჟონგლიორობა, რომელიც პოლიტიკაში არ გამოდგება. მე არ გამოვრიცხავ, რომ ვენეციის კომისიას კონსტიტუციონალიზმის პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში არსებული პროექტი გაატანეს, მაგრამ, შეიძლება, ეს ვარიანტი არც გავიდეს კენჭისყრაზე. საბოლოოდ ის ვარიანტი გავა, რომელიც უმრავლესობას მოსწონს.

# რატომ ჩადის ლავროვი სოხუმში

შორენა მარსაგიშვილი

## „საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ეჭვს აჩენს“

დღეს და ხვალ, 18-19 აპრილს, ცივილიზებული სამყაროს ყურადღება ევროპის ჩემპიონთა ლიგისკენ იქნება მიმართული, ოკუპირებული აფხაზეთი კი ამ დღეებში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის გარშემო იტრიალებს.

სერგეი ლავროვის ორდღიანი ვიზიტისთვის აფხაზეთში უკვე ერთ კვირაზე მეტია ემზადებიან. საქართველოს ხელისუფლებამ რუსული დიპლომატიის მამის სოხუმურ ვოიაჟთან დაკავშირებით მხოლოდ მსუბუქი პროტესტი გამოთქვა. იმედი ვიქონიოთ, რომ აფხაზეთში ლავროვის ჩასვლის შემდეგ მაინც გაინერვიულებენ ადეკვატურად თავს.

აფხაზური მედიის ცნობით, სოხუმში ჩასული ლავროვი სხვადასხვა ღონისძიებასა და შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. მისი ვიზიტის უმთავრესი მიზანი კი რუსეთის განახლებული საელჩოს გახსნაა. ეს ოფიციალური ვერსიაა, არაოფიციალური ვერსიით კი კრემლის წარგზავნილს აფხაზეთში სიტუაციის დალაგება ევალება.



აქ მარტში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და გადამწყვეტი უპირატესობა ვერცერთმა ძალამ ვერ მოიპოვა. შესაბამისად, შეიძლება, რაღაც საკითხების გადაწყვეტა გართულდეს.

ერთ-ერთი ვერსიით, ლავროვი რკინიგზის გახსნაზეც ილაპარაკებს. აფხაზები ამ რკინიგზის წინააღმდეგი არიან, ოფიციალური ერევანი კი ამტკიცებს, რომ ეს რკინიგზა მალე ამოქმედდება. სომხეთის ხელისუფლების თქმით, ამ თემაზე საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმება უკვე მიღწეულია.



აფხაზური მედიის ცნობითვე, ხვალ, 19 აპრილს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იქაური პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა მიიღებს. ოფიციალური შეხვედრა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაიმართება.

შეხვედრაზე ორმხრივ თანამშრომლობასა და რუსეთ-აფხაზეთის სამომავლო გეგმებზე იქნება საუბარი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მარია ზახაროვას თქმით, სოხუმში გამართულ შეხვედრებზე იმაზეც იქნება საუბარი, თუ როგორ უნდა განიმტკიცოს აფხაზეთმა საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციები.

ოფიციალური თბილისი სოხუმში ლავროვის გასეირნებას ოლიმპიური სიმშვიდით ხვდება. სამაგიეროდ, ოპოზიციაა აღშფოთებული და სათანადო რეაგირებას ითხოვს.

საგარეო საქმეთა ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო ქაცარავა რუსული დიპლომატიის მამის აფხაზეთში ჩასვლას საერთაშორისო ნორმების დარღვევად მიიჩნევს.

მისივე მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ამ დარღვევის შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობა საქმის კურსში ჩააყენოს.

— ლავროვის აფხაზეთში ჩასვლა საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. რა თქმა უნდა, მსგავსი ნაბიჯები არ არის მიმართული კონფლიქტების მოგვარებისკენ. ამის და ბოლო დროს განსაკუთრებით განვითარებული მოვლენების ფონზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშვნა იმისა, თუ როგორი მხარდაჭერა მივიღეთ და გრძელდება ეს მხარდაჭერა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, — ამბობს ჟურნალისტებთან საუბარში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი კანდელაკი ხელისუფლების მიერ გაკეთებულ განცხადებებს არასაკმარისად მიიჩნევს. მისთვის მმართველი გუნდის სიმშვიდე ეჭვის შემცველია.

კანდელაკი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოხატულ პოზიციას რუტინულ განცხადებად მიიჩნევს და ხელისუფლებას რჩევასაც აძლევს.

— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რუტინული განცხადება კარგია, მაგრამ ასეთ დონეზე ხომ გლობალური საკითხები არ წყდება?! რა გახდა თუნდაც ერთი სატელეფონო ზარი, რომ აიღოს ყურმილი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და დაურეკოს ამერიკის პრეზიდენტს, რათა ყურადღება მიაქციოს საქართველოს პრობლემებს, მაგრამ ამასაც არ აკეთებს. მეტსაც ვიტყვი, საქართველოს მთავრობის, პრემიერ-მინისტრის დუმილი ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე საეჭვოა, — ასეთია გიორგი კანდელაკის პოზიცია.

ხელისუფლებას მეტი საერთაშორისო აქტიურობისა და უფრო რადიკალური განცხადებებისკენ მოუწოდებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილს ივანიშვილის დიდი ვალი აქვს“

## ბეჟან ნათელაშვილი: „ოლიგარქი გავლენას მალე პინგვინებსა და ასწლოვან ხეებზეც დაკარგავს“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ გაახევა ქართული პოლიტიკა, ვის გაურიგდა „ქართული ოცნება“, რას გეგმავს ოპოზიცია და რა ბედი ელის ხელისუფლებას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

**ბეჟან ნათელაშვილი:**

– კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეა, ჩვენს ხელისუფლებას კი, საკუთარი კეთილდღეობის გარდა, არაფერი აინტერესებს. შესაბამისად, არც გამოწვევებისთვის არიან მზად. საგარეო საფრთხეების თავიდან აცილებას ვინ ჩივის, შიგნიდან გვემხობა ქვეყანა თავზე – სოციალური მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდება.

რუსები ყოველდღე თუ არა, ყოველკვირა საქართველოს სიღრმეში მოიწევენ თავიანთი მავთულხლართებით. კონფლიქტისპირა სოფლების დიდი ნაწილის საფლავები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. ამ მიზეზით შიდა ქართლის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ისიც კი ვერ შეძლო, რომ აღდგომა დღეს ახლობლების საფლავები მოენახულებინა.

ამას ემატება მძიმე კრიმინალური ვითარება. ხელისუფლება, წესითა და რიგით, ამ პრობლემების მოგვარებაზე უნდა ფიქრობდეს, ისინი კი სხვა რაღაცით არიან დაკავებული – მთელი სახელმწიფო აპარატი პოლიტიკური ოპონენტების ჩაძირვაზე მუშაობს.

***– რით გამოიხატება ეს მუშაობა?***



– ოპოზიციონერებსა და ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს ხან წამალს უდებენ, ხან სხვა ტიპის პროვოკაციებს უწყობენ.

პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლის გარდა, ხელისუფლებას კიდევ ერთი მისია აქვს შესასრულებელი – სახელმწიფო აპარატი სრულად არის მობილიზებული, რომ ბიძინა ივანიშვილის ეზოში გადაიტანოს ასწლოვანი ხეები, ამათი წყალობით დღეს ქართული პოლიტიკა გაქვავებულ და გახევებულ მდგომარეობაში იმყოფება.

***– ქართული პოლიტიკის გაქვავება-გახევებას ხელისუფლებას აბრალებთ. ოპოზიცია თუ არ აქტიურობს, ეს რა ხელისუფლების ბრალია?***

– პოლიტიკური პროცესი ხელისუფლებამ გაახევა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მათი ლოზუნგი – შუა უნდა გაიკრიფოს. ვიზუალურად ისე ჩანს, რომ შუა მართლა გაიკრიფა, მაგრამ ეს ასე არ არის. მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ალია და ოსმალო ორივე მტერია. ხალხი კარგად აცნობიერებს, რომ ქვეყანას „ოცნებაც“ დაღუპავს და ნაციონალებიც. როგორც იქნა, ხალხმა გაიაზრა, რომ ხელისუფლებისთვის დღეს ყველაზე კომფორტული ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობაა.

***– ნაციონალური მოძრაობის რომელ შტოს გულისხმობთ?***

– შტოზე თუ მიდგა საქმე, „ოცნებაც“ ნაციონალების ერთ-ერთი ტოტია, რომელიც ცოტა ადრე მოსტყდა ამ ხეს. „ოცნებისთვის“ ყველაზე ახლობელი მეგობარი დღეს ნაციონალების ის შტო გახლავთ, რომელიც მთლიანად ჩაისვეს ჯიბეში.

***– „ევროპული საქართველო“ გყავთ მხედველობაში?***

– დიახ, დიახ, „ევროპულ საქართველოს“ ვგულისხმობ. ერთი მხრივ, ეს ძალა ჯიბეში ჩაისვა და, მეორე მხრივ, სააკაშვილსაც დიდი საქმე გაუკეთა ივანიშვილმა – პარტიის ყველაზე მარგინალური ფრთა გამოაცალა. ყოფილ პრეზიდენტს ყოფილი პრემიერის დიდი ვალი აქვს.

პოლიტიკურ ოპონენტებად ყოფილი ხელისუფლების ორივე შტო მისაღებია ამათთვის. „ქართული ოცნება“ ასეთი პრინციპით მოქმედებს – ღორმა ღორს უთხრა, შე დრუნჩიანოო. მოქმედ ხელისუფლებას წინამორბედისთვის ძველი ცოდვების წამოძახება თავისუფლად შეუძლია. ქვეყნის სასიკეთოდ არცერთი მათგანი არ გაირჯება, ერთმანეთის გადარჩენას კი ყველანაირად შეეცდებიან.

რაც შეეხება შუას გაკრეფას, ეს იყო უშუალოდ ივანიშვილის იდეა. ეს იმისთვის გააკეთა, რომ ქვეყანა მშვიდად ემართა. ახლა სიტუაცია რადიკალურად არის შეცვლილი.

შუის გაკრეფის ოპერაცია ჩავარდა, სამაგიეროდ, ბიძინა ივანიშვილი დაკარგავს გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე.

***– დარწმუნებული ხართ, რომ გავლენას დაკარგავს?***

– ეჭვიც არ მეპარება. ის არა მარტო პოლიტიკურ პროცესებზე დაკარგავს გავლენას, არამედ თავის პინგვინსა და ასწლოვან ხეებზეც.

***– ამბობთ, ივანიშვილი თავის გავლენებს დაკარგავსო. ამას გონივრული ეჭვის საფუძველზე ამბობთ თუ ოპოზიცია აპირებს რამეს?***

– ამ განცხადების გაკეთების საფუძველს არსებული სიტუაცია მაძლევს. რაც შეეხება ოპოზიციას, ის რაღაცას აუცილებლად მოიმოქმედებს. ამისკენ მას ხელისუფლება ყოველდღიურად უბიძგებს.

ის, რაც კონსტიტუციასთან დაკავშირებით ხდება, დიდი მღელვარების მიზეზი გახდება. რაც ახლა იწერება, ქვეყნის მთავარი კანონი კი არა, ბიძინა ივანიშვილის ჩოხაა. „ოცნება“ ახალ კონსტიტუციას კი არ წერს, არამედ თავის ბელადს უკერავს ტანზე კარგად მომჯდარ სამოსს.

ამას არც ხალხი მოითმენს და არც – ოპოზიცია. დარწმუნებული ვარ, ოპოზიცია გაერთიანებული ძალებით შეუტევს ამ უმსგავსობას. ამაზე ყველა ვთანხმდებით. საარჩევნო ბლოკის შექმნა კი გამორიცხულია. ასეთი გაერთიანებები ლეიბორისტულ პარტიას არასდროს იზიდავდა.

***– მაშინ თქვენი პარტია თანახმა იქნება იმ საკონსტიტუციო ცვლილებაზე, რომლის თანახმადაც, პარტიებს ბლოკების შექმნა ეკრძალებათ.***

– ამ თემაზე პარტიაში ჯერ საუბარი არ გვქონია და გამიჭირდება იმის თქმა, რას ფიქრობს პარტია. ჩემი პირადი აზრით კი საარჩევნო ბლოკების შექმნა კანონით უნდა აიკრძალოს.



### „მაჟორიტარების გაუქმებით ქვეყანაში პოლიტიკური პროსტიტუცია დასრულდება“

***– რატომ უნდა აიკრძალოს?***

– იმიტომ, რომ ამ ბლოკებმა დააქციეს ქვეყანა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ბლოკები იმისთვის იქმნება, რომ რამენაირად პარლამენტში მოხვდნენ. როგორც კი იქაურ სკამებს მოერგებიან, ეგრევე ერთმანეთთან ომს იწყებენ. პოლიტიკურ შეხედულებებზე და მაღალ მატერიებზე რომ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, ეს მისასალმებელი ამბავი იქნებოდა. ქვეყნისდა საუბედუროდ, ესენი წილების გადანაწილების გამო იწყებენ ერთმანეთის ჭამას.

უმადობას არც მანამდე უჩივიან, მაგრამ პარლამენტში შესვლისთანავე საოცარი მადა ეხსნებათ. იმის მაგივრად, რომ ხალხზე იფიქრონ, სხვადასხვა ბიზნესის დათრევას ცდილობენ. ეს ქვეყნის ინტერესებს აზიანებს.

ამდენად, ბლოკების შექმნა სამუდამოდ უნდა აიკრძალოს. არჩევნებში მხოლოდ პარტიებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. პოლიტიკურ პარტიაზე თუ გაქვს პრეტენზია, მაშინ კეთილი ინებე და არჩევნებზე საკუთარი პასპორტით მიიღე მონაწილეობა.

აქვე ერთ იდეასაც დავამატებდი – პარტიები მოღალატე დეპუტატებისგან დაცული უნდა იყვნენ. კარგი იქნება, თუ ამის მექანიზმი კანონით იქნება გათვალისწინებული.

***– თავად პარტიებმა ვერ უნდა განსაზღვრონ, ვინ შეიძლება, მოღალატე იყოს?***

– ამის განსაზღვრა შეუძლებელია. წესით, არც იუდას უნდა გაეყიდა ქრისტე, მაგრამ გაყიდა. ქრისტეს მოსწავლე რომ ამას გააკეთებს, იქ პოლიტიკოსისგან როგორ იქნები დაზღვეული. ამიტომაც არის საჭირო კანონში სათანადო ჩანაწერის გაკეთება.

***– რა ჩანაწერის გაკეთებას ითხოვთ?***

– პირდაპირ კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ თუ ადამიანი ამა თუ იმ პარტიამ გაიყვანა პარლამენტსა ან საკრებულოში, პარტიის დატოვების შემდეგ მან დეპუტატის მანდატი უნდა დატოვოს. ამ შემთხვევაში პარტიული სიით გასულ დეპუტატებზე მაქვს საუბარი. მაჟორიტარული სისტემა სრულად არის გასაუქმებელი. მხოლოდ ასე შევძლებთ საქართველოში პოლიტიკური პროსტიტუციის მოსპობას.

***– ზევით თქვენ აღნიშნეთ, რომ კონსტიტუციის გარშემო ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანდება. ამ კვირაში საკონსტიტუციო კომისიის დატოვებასაც გეგმავს ოპოზიცია, ხელისუფლება კი ამბობს, რომ ბოიკოტის არავის ეშინია. ამაზე რას იტყვით?***

– რა უნდა ვთქვა, „ოცნების“ პირით ნაციონალური მოძრაობა გველაპარაკება. მეტსაც გეტყვით, მათ ყოფილ ხელისუფლებას დიდი ხანია, რაც გადააჭარბეს. ობიექტურობისთვის უნდა ვთქვათ, რომ სააკაშვილის რეჟიმი რაღაც დათმობებზე მაინც მიდიოდა. ესენი კი არაფერს თმობენ.

2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ სააკაშვილს ისე გაუჭირდა, რომ თანამდებობა დატოვა. მას ამის გაკეთება დასავლეთმა მოსთხოვა. მართალია, გაყალბების გზით ისევ მოგვევლინა პრეზიდენტად, მაგრამ ხომ გადადგა.

სხვათა შორის, ასე მოხდა 2012 წელსაც. იმ ზაფხულს საქართველოში აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი იყო ჩამოსული.

კლინტონმა მაშინ პირდაპირ ასე უთხრა სააკაშვილს – მორჩა, შენ ხელისუფლება უნდა გადააბაროო. მას არ უთქვამს, ივანიშვილს გადააბარეო. სააკაშვილს ამით იმაზე მიანიშნეს, არჩევნებს საშენოდ ველარ გააყალბებო.

სააკაშვილი ამერიკელების წინააღმდეგ ვერ წავიდა, რითაც კარგად ისარგებლა ივანიშვილმა და პარლამენტში გაიყვანა „ოცნება“, რომელიც სინამდვილეში აჯაფსანდალია და მეტი არაფერი.

ახლაც ასეთივე აჯაფსანდალია პარლამენტში. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო საბავშვო ბაღის დონესაც კი ვერ აკმაყოფილებს.

***– მოდით, ისევ ბოიკოტის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, რატომ არ ეშინია ხელისუფლებას ოპოზიციის?***

– თავის დროზე არც მიშა სააკაშვილს ეშინოდა. ასე თავზეხელაღებულად იქცეოდა, სანამ 2007 წლის ნოემბერი არ დაუდგა. ახლაც იგივე მოხდება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახლა ბევრად უარესი მდგომარეობაა.

***– უარეს მდგომარეობაში რას გულისხმობთ?***

– ამ ყველაფრის შემოქმედი ბიძინა ივანიშვილი არაფორმალური მმართველი გახლავთ, რომელსაც ვერ გადააყენებ. ადრე თუ გვიან ის ამაზე აგებს პასუხს. ახლო მომავალში მას სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა. მის მომავალს მე საბრალდებო სკამზე ვხედავ. არც იმას გამოვრიცხავ, მისით ჰააგაც დაინტერესდეს.

***– ჰააგა რატომ უნდა დაინტერესდეს?***

– საყდრისის აფეთქებით მან კაცობრიობის წინაშე ჩაიდინა დანაშაული. ჰააგა კი ასეთ საქმეებზე მუშაობს. იმასაც გეტყვით, რომ მის წინააღმდეგ ჩვენებებს მისივე გუნდის წევრები მისცემენ.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემენ?***

– დღეს ამის გაკეთებას ვერ გაბედავენ, მაგრამ, საკმარისია, ივანიშვილის პოზიციები შეირყეს, რომ პასტას ვერ გააგდებინებენ ხელიდან, იმდენ საჩივარს დაწერენ და იმდენ რამეს ილაპარაკებენ. იმის იმედი ტყუილად აქვს, რომ ვიღაცა მის მიერ ჩადენილ უკანონობას დაიბრალებს. ყველაფრის უკან ეგ დგას და ყველა უკანონობაზე ის აგებს პასუხს.

# რატომ ჩადის ლავროვი სოხუმში

დასაწყისი მე-2 გვერდზე

როგორც ნიუპოსტთან საუბარში ქარდავამ განაცხადა, ამ მიმართულებით ხელისუფლების ყველა შტომ უნდა იაქტიუროს.

– ქართული ხელისუფლების მხრიდან უნდა იყოს განგაშის ზარები ჩამოკრული, საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებების დონეზე არა, საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებებით დაწყებული, პრემიერ-მინისტრით დასრულებული, დღეს ყველა უწყება საერთაშორისო ფორმატებში უნდა აქტიურობდეს, რომ ეს იყოს უმაღლეს დონეზე გაპროტესტებული, – ამბობს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

რუსეთს საერთაშორისო ნორმების დარღვევაში ადანაშაულებენ ქართველი ექსპერტებიც. ოპოზიციის მსგავსად, ხელისუფლებისგან ისინიც მკვეთრ რეაგირებას ითხოვენ.

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ბათუ ქუთელია ნიუპოსტთან საუბარში აცხადებს, რომ რუსეთი არა მარტო საქართველოს, არამედ რეგიონულ უსაფრთხოებასაც უქმნის საფრთხეს:

– ეს ვიზიტი უნდა გახდეს უკვე ბოლო წვეთი იმისთვის, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ მთლიანად გადახედოს თავის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებით და ფუნდამენტურად შეცვალოს ის მიდგომები, რომლებიც 2012 წლიდან მოყოლებული ემსახურებოდა საქართველო-რუსეთის მათ მიერ დეკლარირებულ პოლიტიკას.

იგივე პოზიცია აქვს სტრატეგიული კვლევების ცენტრის დამფუძნებელ გიორგი რუხაძეს.

– ლავროვის ჩასვლა სოხუმში არის კიდევ ერთი დემონსტრირება იმისა, რომ ის უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართალს. რუსეთს, ფაქტობრივად, გადაჰყავს ფაქტობრივ ანექსიაში ეს ყველაფერი და ამ ყველაფერზე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რეაგირება უნდა იყოს ძალიან მკაცრი, – ამბობს რუხაძე.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამწველ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რას აპირებს ახალქალაქის საკრებულო

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური, გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების პრობლემები არ ელევა. ცენტრალური ხელისუფლებისთვის სიურპრიზს ამზადებს ახალქალაქის საკრებულოც, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს აჭარბებს და დიდ პოლიტიკაში იჭრება.

ეს დღეები თბილისისთვის ისედაც რთულია ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსალოდნელი ჩასვლის, ასევე რეგიონში დაძაბულობის გამო. სოხუმში 18 აპრილს იხსნება რუსეთის ახალი „საელჩოს“ შენობების მთელი კომპლექსი. რუსეთის მინისტრი დაესწრება ამ კომპლექსის საზეიმო გახსნას და შეხვდება აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მეთაურ რაულ ხაჯიმბას.

ლავროვის ვიზიტს პროვოკაციული და საერთაშორისო ნორმების საწინააღმდეგო უწოდა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მიხეილ ჯანელიძემ.

გარდა ამისა, რუსეთი აგრძელებს ორივე ოკუპირებული რეგიონის მილიტარიზაციას. ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ რუსეთი გაართულებს ვითარებას საქართველოს სხვა რეგიონებშიც და ამისათვის საჭირო არ გახდება სამხედრო ჩარევა.



არ არის გამორიცხული, რომ ახალქალაქის საკრებულოს გეგმები რუსეთის პროვოკაციულ ზრახვებს უკავშირდებოდეს. ამის თაობაზე გარკვეული კითხვები ჩნდება.

გამოცემა „ვესნტიკ კავკაზას“ ინფორმაციით, ახალქალაქის საკრებულო სომეხთა გენოციდის აღიარებას გეგმავს. იმ მხარის საკრებულოს დეპუტატები, სადაც 99% სომეხი მოსახლეობაა, საგანგებო სხდომაზე შეიკრიბებიან და ოსმანთა იმპერიაში სომეხთა გენოციდს დაგმობენ.

შესაბამისი დადგენილების პროექტი, გამოცემის თქმით, უკვე არსებობს. „ოსმანთა იმპერიაში სომხების გენოციდის“ გადაწყვეტილების პროექტში ნათქვამია, რომ 1915 წლის მოვლენები დანაშაულია, რომელიც დაგმეს განვითარებულმა ქვეყნებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ცალკეულმა რეგიონებმა და სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებმა.

სხდომა 24 აპრილს არის დაგეგმილი. მისი მოწვევის მოთხოვნა საკრებულოს დეპუტატთა ჯგუფმა წამოაყენა.

კომენტარს ამ საკითხზე არც საკრებულოს წევრები აკეთებენ და არც ადგილობრივი გამგეობის ხელმძღვანელები, რაც, „ვესნტიკ კავკაზას“ შეფასებით, გასაკვირი არ არის, იმიტომ რომ საკითხი პოლიტიკასა და გეოპოლიტიკასაც კი უკავშირდება. ახალქალაქში მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ამ სხდომის ჩატარების დღის წესრიგი და ვადა დაზუსტებული არ არის.

თბილისში ასეთი სხდომის გამართვა არარეალურად მიაჩნიათ. უმრავლესობის წევრების თქმით, ამგვარი საკითხების განხილვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და თვითმმართველობის კოდექსს.

ალბათ, ამის შესახებ ახალქალაქის საკრებულოშიც იციან. ამ საკითხის ინიციატორებიც ინფორმირებული იქნებიან, რომ ასეთი პრობლემები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას სცილდება.

მიუხედავად ამისა, განხილვა და გენოციდის დაგმობა მაინც დაგეგმილია. ასეთი ინიციატივა სხვადასხვა დროს რამდენჯერმე საქართველოს პარლამენტშიც წამოაყენეს ეთნიკურად სომეხმა დეპუტატებმა, თუმცა მხარდაჭერა ვერ მიიღეს. იყო ასევე ქუჩის აქციები ამავე მოთხოვნით. საქართველოსნაირი ქვეყნისთვის ასეთი საკითხების განხილვა სახიფათოა, მით უმეტეს მაშინ, როცა ორი მეზობელი, თურქეთი და აზერბაიჯანი, ამ გენოციდს არ აღიარებს. მათი შეფასებით, 1915 წელს იყო დიდი მსხვერპლი.

ევროპარლამენტმა 24 აპრილი სომეხთა გენოციდისა და ხსოვნის დღედ აღიარა. როგორც ჩანს, ახალქალაქის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა ამ დღეს ამიტომ მოიწვიეს.

## ქართველმა ემიგრანტმა ნატო ჭანტურიამ საბერძნეთში მოხუცის გადასარჩენად თავი გაწირა

ქართველი ემიგრანტი, რომელიც საბერძნეთში მოხუცს უვლიდა, მის გადასარჩენად ცეცხლმოკიდებულ სახლში შევიდა.

ქართველი ემიგრანტი და მოხუცი ქალი მაშველებმა უგონო მდგომარეობაში მყოფები იპოვეს. ქართველის მდგომარეობა მძიმეა.



ამის შესახებ ინფორმაციას ქართველი ემიგრანტი, იუთუბზე ყველაზე პოპულარული ქართული არხის მფლობელი შოთო სიხარულიძე ფეისბუქგვერდზე ავრცელებს.

– 54 წლის ემიგრანტ ნატო ჭანტურიას შემზარავი ტრაგედიის ამბავი გუშინ შემატყობინეს საბერძნეთიდან, სამეგრელოში რომ ვიყავი, თუმცა თავი შევიკავე, აღდგომა დღეს ნეგატიური ინფორმაცია დამეწერა ემიგრანტზე ემიგრანტებისთვის. საშინელებაა ის, რაც მოხდა. სიტყვები არ მყოფნის. არ მეგულება ადამიანი, გულთან არ მიეტანა ეს დიდი ტრაგედია. მადლობა ყველას, უფალი შეისმენს თქვენს ლოცვას. 54 წლის ემიგრანტი ნატო ჭანტურიაა, რომლის სიცოცხლესაც უფალს ევედრებით. ხანძარი საიდან გაჩნდა და როგორ, არავინ იცის, სავარაუდოდ, ცეცხლი ქალბატონის ოთახიდან წამოვიდა, რადგან ის ისე დაიწვა, გვამიც ვერ იპოვეს, ნატო აივანზე გასულა და შველას ითხოვდა. თვითმხილველების თქმით, ისინი სთხოვდნენ, მეზობელ აივანზე გადასულიყო და თავი გადაერჩინა, მაგრამ არ დატოვა უმწეო მოხუცი და მის გადასარჩენად შევარდა. მას გადაადგილება უჭირდა და, ეტყობა, კარამდე სიმწრით მოიყვანა, თუმცა... ისინი იქვე იპოვეს უგონოდ, მოხუცი საავადმყოფოში გარდაიცვალა, ჩვენი ნატო სიკვდილს ებრძვის და, არა მგონია, უფალმა არ გადაარჩინოს ადამიანი, რომელმაც თავისი სიცოცხლე გაწირა სხვისი სიცოცხლისათვის. იმედი მაქვს, ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც ჩვენ გვინდა, – წერს შოთო სიხარულიძე.

შოთო სიხარულიძის ინფორმაციით, შემთხვევა საბერძნეთში მოსხატოზე მოხდა. სახლში ხანძარი, სავარაუდოდ, ანთებული კანდელიდან გაჩნდა.

პირველი

## მეუფე იაკობი: „პატრიარქის მკვლელობა იგეგმებოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავიდან ბოლომდე ჩახედული ვარ“



პატრიარქის ქორეპისკოპოსის, ბოდბელი ეპისკოპოსის იაკობ იაკობიშვილის თქმით, იგეგმებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მკვლელობა, მაგრამ ღმერთმა ქვეყანა ამ მძიმე დანაშაულისა და განსაცდელისგან იხსნა.

აღნიშნულ თემაზე მეუფე იაკობმა დიდ შაბათს, გარდამოხსნის წესის დროს ლოცვის დასრულებისას ისაუბრა.

– უფალო, დიდი მადლობა, რომ აგვარიდე ძალიან მძიმე დანაშაულს, რომლის შემდეგაც უდიდესი წყევლა გადმოვიდოდა ჩვენს ერზე და როგორც მოსიყვარულე მამამ, არ მიეცი უფლება და საშუალება, რომ მოგვეკლა ჩვენი პატრიარქი.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავიდან ბოლომდე ჩახედული ვარ და მე არ მჭირდება და არც შენ არ გჭირდება, უფალო, უდანაშაულობის პრეზუმფცია. ვიცით, რაც ხდებოდა. გულწრფელად მეცოდებიან ისინი.

მადლიერი ვართ შენი, რომ აარიდე იმ აზრს და თუ შეინანებენ, აბსოლუტურად არავინ არ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც, პირიქით, სინანულის მერე გვერდში არ დავუდგებით და ჩვენც ვიტვირთავთ მერე მაგ უმძიმეს დანაშაულს, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

ნიუპოსტი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

## თელავში ყოფილ დეპუტატ ვასილ დავითაშვილს 8 ტყვია ესროლეს

თელავში ყოფილი დეპუტატი დაჭრეს.

ვასილ დავითაშვილს ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა თავის სახლთან 8 ტყვია ესროლეს. დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ვასილ დავითაშვილი საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი და თელავის ყოფილი მერია.



საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის ვასილ დავითაშვილის დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით დაკავება თელავის რაიონის სოფელ კისისხევში მოხდა.

ყოფილი დეპუტატის დაჭრის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით მიმდინარეობს.

უწყების ცნობით, მამაკაცი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. მისი პირადი ჩხრეკისას მაკაროვის ტიპის პისტოლეტი ამოიღეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, სავარაუდო დამნაშავის დასაკავებლად ინტენსიური სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 236-ე მუხლებით წარმოებს, რაც შესაბამისად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, დამზადებას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას ითვალისწინებს.

## ქედაში ავარიას მცირეწლოვანი ემსხვერპლა. დაშავებულია 8 ადამიანი





ქედაში, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც ერთი მცირეწლოვანი დაიღუპა, ხოლო 8 ადამიანი დაშავდა. 4 დაშავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი.

არსებული ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევისას ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილები შეეჯახა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქმე 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## შსს-მ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



სამართალდამცველებმა 1982 წელს დაბადებული გ.გ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 2 არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი – კუსტარული წესით დამზადებული რევოლვერი, მაკაროვის კონსტრუქციის პისტოლეტი და 14 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

## ოკუპანტებმა მავთულხლართებს მიღმა სასაფლაოზე გადასული 3 პირი გაიტაცეს

ოკუპანტებმა მავთულხლართებს მიღმა დარჩენილ სასაფლაოზე საქართველოს 3 მოქალაქე ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მათ გათავისუფლებაზე მუშაობს. უწყებამ ინფორმაცია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას მიაწოდა.

– კერძოდ, სოფელ არცევის მცხოვრებლებზეა საუბარი, რომლებიც, სავარაუდოდ, სწორედ სასაფლაოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ზუსტად ეს გახლავთ ოკუპაციის ის მახინჯი სახე, რომელიც ადამიანების ინტერესებს არად აგდებს. რა თქმა უნდა, ამ მომენტში ჩვენ ჩართული გვაქვს ცხელი ხაზი იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეები რაც შეიძლება, სწრაფად იქნენ გათავისუფლებული, – ამბობს შერიგების მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი.

## სომხეთმა რუსეთისგან ახალი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი შეიძინა

სომხეთის საჰაერო თავდაცვის ჯარების ხელმძღვანელის მოადგილე არტურ პოღოსიანის განცხადებით, 2016 წლის გაზაფხულზე საომარი მოქმედებების შემდეგ სომხეთმა რუსეთისგან დიდი ოდენობით გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „იგლას“ და „ზებრას“ შეიძინა. პოღოსიანის განცხადებით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სომხეთმა თავდაცვითი ახალი სისტემა შექმნა და ამ სისტემას შეუძლია, მცირე ზომის სამიზნეები გაანადგუროს.

## ქართველი კანონიერი ქურდი, ლაშა ნიჟარაძე, იტალიის მოთხოვნით სერბეთში დააკავეს

იტალიის ხელისუფლების მოთხოვნით, სერბეთში ქართველი კანონიერი ქურდი ლაშა ნიჟარაძე, იგივე „ლაშა წყალტუბსკი“ დააკავეს.

ნიჟარაძე 2014 წლიდან იძებნებოდა, მას შემდეგ, რაც იტალიამ ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებზე დევნა დაიწყო.

მაშინ ევროპოლმა გრანდიოზული სპეცოპერაცია ჩაატარა მერაბ სუხუმსკის კლანის წინააღმდეგ. სპეცოპერაციის შედეგად სამართალდამცველებმა 13 კანონიერი ქურდი დააკავეს, ასევე – კრიმინალური სამყაროს 5 ავტორიტეტი.

ლაშა ნიჟარაძეს 15 წლით პატიმრობა ემუქრება. მას ბრალად ედება სხვა კრიმინალებთან ერთად საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატის შექმნა, რომელიც ევროპის ფარგლებში ქურდობით, რეკეტითა და ფულის გათეთრებით იყო დაკავებული.

პირველი

# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, 2017 წლის სააღდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მამანო და დედანო, ძმანო და დანო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

„შვილო, თუ უფალს მიეახლები სამსახურად,
განსაცდელისათვის გაამზადე თავი... ოქრო
ცეცხლში გამოიცდება, უფლის სათნონი
კი,– მორჩილების ქურაში“(ზირქ. 2,1,5.)

## ქრისტე აღდგა!

გვესმის ყოვლადწმინდა მარიამის, მარიამ მაგდალინელისა და სხვა მენელსაცხებელე დედათა გულანთებული, სულისშემძვრელი ძახილი:

## ქრისტე აღდგა!

სიხარულით აღვსილნი ადასტურებენ წმინდა მოციქულნი, – პეტრე და იოანე და სხვა მოწაფენი ქრისტესნი:

## ქრისტე აღდგა!

ხმობს ასობით სხვა თვითმხილველიც.



დღეს იშვებს ცანი და ქვეყანა, განსცხრების სიონი და ჩვენც, თანაზიარნი ამ ზეიმისა, ვისმენთ აღდგომილი მაცხოვრის დიად სიტყვებს:

„გიხაროდეთ!“ (მთ.28;9), „მშვიდობა თქვენდა!“ (ინ.20;19), „ნუ გეშინინ, მე ვარ პირველი და უკანასკნელი მკვდარი ვიყავი და, აჰა, ცოცხალ ვარ უკუნითი უკუნისამდე. მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის კლიტენი“ (გამოცხ.1, 17-18) და „მოცემული მაქვს მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე“ (მთ 28;18); „ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და სწამს ჩემი მომავლინებელი, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე“ (ინ.5;24);

რა უნდა იყოს ჩვენთვის ამაზე უფრო ტკბილი და მნიშვნელოვანი მოსასმენად?! იხარეთ, ერნო!

აღდგა ქრისტე და მასთან ერთად ძველი აღთქმის მართალთა სულნიც; ქრისტეს აღდგომით თითოეულ ასევე ჩვენგანს მიეცა შესაძლებლობა სიკვდილის დაძლევისა და სამოთხის დამკვიდრებისა, რადგან მაცხოვრის კაცობრივი ბუნება მოიცავს ადამიანთა მოდგმის მთელ სისავსეს, ერთ კაცად ქმნილ კაცობრიობას და მასში ვართ ჩვენ ყველანი; მაგრამ მის ჰიპოსტასს ასევე აქვს სრული საღვთო ბუნებაც და ეს ორი ბუნება შეურევნელად, შეურწყმელად და განუყოფლად არის ურთიერთდამტევნელი.

დაუშვებელი რომ დავუშვათ და წარმოვიდგინოთ, რომ ძე კაცისას მხოლოდ ადამიანური ბუნება ჰქონოდა და მკვდრეთით აღდგომა შეეძლო, სიკვდილს ოდენ თავის თავთან მიმართებაში დასძლევდა და ისიც მხოლოდ დროებით, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, სინაგოგის მთავრის ქალიშვილის, ნაინელი ქვრივის ვაჟის, ან თუნდაც ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შემთხვევაში (უფრო ადრე კი ელია წინასწარმეტყველისა და ელისეს მიერ აღსრულებულ სასწაულებში).

მაცხოვართან მიმართებით კი ჯოჯოხეთი მოტყუვდა!

იესოში ვერ შეიცნო ღმერთკაცი. განიზრახა მისი ადამიანური სულის სხვა ადამიანთა სულების მსგავსად შთანთქმა.

მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი და სრულიად საპირისპირო რამ!

იმის ნაცვლად, რომ ჯოჯოხეთს დაენთქა ჯვარცმული „მეუფე ჰურიათა,“ თვითონ დაინთქა და შეიმუსრა, რადგან ვერ დაიტია ქრისტე და მის საღვთო ძალას ვერ შეეწინაალმდეგა.

სიკვდილი შედეგია ცოდვისა და ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებეობენ; ხოლო ვინაიდან მაცხოვარი უცოდველი იყო, მას ვერც სიკვდილი დაეუფლა და ვერც ჯოჯოხეთი; პირიქით, ორივე იძლია და განქარდა.

„სადა არის სიკვდილო, საწერტელი შენი,
სად არს „ჯოჯოხეთო“ ძლევაი შენი“ (1 კორ. 15;55)!

იესო ქრისტე თავისკენ უხმობს ცხონების ყველა მსურველს, ახალშობას ანიჭებს მათ მარადიული სიცოცხლისათვის, და, ამასთან, ცასა და მიწას ახალ ცად და ახალ მიწად გარდაქმნის. ამიტომაც იგი „მეორე ადამად“ იწოდება. „როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი, ასევე ერთის მორჩილებით ბევრი გახდება მართალი“ (რომ. 5,19), – ვკითხულობთ ახალ აღთქმაში.

უფალთან პირველი და უმთავრესი კავშირის დამყარება ნათლისღებით ხდება. ეს უდიდესი საიდუმლოა და ქრისტეს ჯვარცმას, დაფლვასა და აღდგომასთან თანაზიარებას ნიშნავს; „ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ, ... ხოლო თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას, რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ... ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის შვილები“(რომ; 6, 3, 4, 6).

ასე რომ, წყალში სამგზის შთაფლვით ჯოჯოხეთში მაცხოვრის სამი დღით ყოფნას, შემდეგ კი მის ძლევასა და აღდგომას ვემოწმებით, ცოდვათაგან სრულიად ვთავისუფლდებით, ახალ ადამში, ქრისტეში, განახლებულ პიროვნებად ვიბადებით. მირონცხება კი გვანიჭებს სულიწმინდის ბეჭედს. ნათლისღებისა და მირონცხების საიდუმლოს მადლმოსილებით იცვლება გული და გონება, ძლიერდება სიყვარული შემოდის სიმშვიდე, უცხო ხდება რისხვა, მძვინვარება, შური, თვალთმაქცობა, ყოველგვარი ბოროტება და უწმინდურება.

თუმცა ასეთი მდგომარეობა შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს. ხელმეორედ შობის (ნათლობის) შემდეგ ადამიანი, თავისი სუსტი ნებისყოფის გამო, ხშირად ეშმაკის მახეში კვლავ ებმევა და იწყება საკუთარ თავთან, ჩვენს მანკიერებებთან ჭიდილის პროცესი, რომელიც გარდაცვალებამდე გრძელდება.

გავიხსენოთ მოციქულის სიტყვები: „გონებით რჯულს ვემონები, საქმით კი ცოდვით რჯულს, არ ვაკეთებ კეთილს, რომელიც მსურს, არამედ ვაკეთებ ბოროტს, რომელიც არც მსურს. ჩემს ასოებში (სხეულის ნაწილებში) მე ვხედავ სხვა რჯულს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩემი გონების რჯულს და მხდის ცოდვის რჯულის ტყვედ. უბადრუკი ადამიანი ვარ!“ (მთ.8, 19-24)

ჩვენ რაღა გვეთქმის? თითოეული ჩვენგანის გულიც ასპარეზია კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლისა; ამასთან, უფრო სუსტი ბრძოლისა, რადგან წინააღმდეგობის გაწევის უნარი ჩვენ ნაკლებად გვაქვს.

რა თქმა უნდა, არიან ისეთი პიროვნებები, თავიდანვე მტკიცე ბარიერს რომ უქმნიან საცდურს; სხვანი უფრო ადვილად თმობენ პოზიციებს, ზოგიერთნი კი საერთოდ ვერ გრძნობენ ნათლობის მნიშვნელობას და მეორე დღესვე ცოდვილ ცხოვრებას უბრუნდებიან.

ეშმაკის საცდურთაგან თავდახსნას კეთილნი და თავმდაბალნი შეძლებენ, – წერენ წმინდა მამები.

წმ. ანტონი დიდი კი ბრძანებს: ვინც არ არის კეთილი, ვერც ვერასოდეს შეიმეცნებს უფალს და იგიც ასეთს თავისთან არ მიიღებს. ერთადერთი საშუალება ღმერთის შეცნობისა არის სიკეთისა და სიყვარულის გზა.

შევნიშნავთ იმასაც, რომ თუ კეთილი საქმე სხვათა დასანახად და დიდებისმოყვარეობისათვის აღესრულება, იგი ცოდვად გარდაიქცევა; ასევეა სიმართლის შემთხვევაშიც: სიმართლით ქედმაღლობა აცამტვერებს სიმართლეს (წმ. იოანე ოქროპირი).

საერთოდ, ცოდვა მომდინარეობს იქედან, რომ ადამიანი თავის თავს უფრო ბრძნად მიიჩნევს, ვიდრე ღვთის მცნებები და კანონებია. ასეთნი საკუთარ წესებსა და კანონებს გვთავაზობენ ან თავის ნააზრევს ღმერთს მიაწერენ. ამ მხრივ ყველაზე დიდი დანაშაული არის ეკლესიაში განხეთქილების ან მწვალებლობის შემოტანა. ამის ჩამდენნი მოწამეობრივი სიკვდილითაც რომ აღესრულონ, ცოდვას ვერ ჩამოიბანენ. ასევე უდიდესი ცოდვაა ქვეყნის მტრობა და მისი ერთიანობის დარღვევის მცდელობა.

ვნებათა შორის ყველაზე დაფარული და გავრცელებული პატივმოყვარეობაა. ასეთი კაცი ყოველთვის საკუთარ „მეს“ უკმევს გუნდრუკს, თუმცა ცდილობს, ეს დაფაროს და სხვათა თვალში კეთილმსახურად გამოჩნდეს.

ეგოისტური „მე“ – სგან განდგომა და საკუთარი თავის პირუთვნელი შეფასება უდიდესი ღირსება და აუცილებელი პირობაა ქრისტიანული ცხოვრებისა.

უპატიებელი ცოდვაა სასოწარკვეთა და სიცოცხლის თვითმკვლელობით დამთავრება. ვინც ამ ნაბიჯს შეგნებულად დგამს, რა თქმა უნდა, ვეღარ უძლებს თავისი ჯვრის სიმძიმეს და გამოსავლს ასეთ ქმედებაშიღა ხედავს. ამ ადამიანებს, სინამდვილეში არასწორი აზროვნება აქვთ. მათი მთავარი შეცდომა ის არის, რომ მარტო ცდილობენ შეეჭიდონ სიძნელეებს და მხოლოდ თავისი შესაძლებობებით სურთ, გაუმკლავდნენ სირთულეებს. ვერ ხვდებიან იმას, რომ ჯვარი იქამდეა მძიმე, ვიდრე მის ტვირთვას მხოლოდ შენს თავზე მინდობილი ცდილობ; როგორც კი ჩვენი პირადი ჯვარი ქრისტეს ჯვრად იქცევა, ანუ ჩვენი ცხოვრება ქრისტეს რწმენითა და მისი მცნებებით განიმსჭვალება, ყოველგვარი დაბრკოლება, ყოველგვარი საშიშროება სხვა განზომილებაში გადადის და აღმოვაჩენთ, რომ უმძიმესი განსაცდელიც კი ჩვენი სიკეთისათვის ყოფილა უფლისგან დაშვებული. ამის შეგნება ჩვენში სიმშვიდეს ასადგურებს და ღვთისადმი იმედით, მადლიერებითა და მორჩილებით განგვაწყობს.

ერთ-ერთი ფილოსოფოსი ადამიანური ურთიერთდამოკიდებულების ორ ძირითად სახეს ასე ახასიათებს: ეს არის კავშირი: „მე და შენ“ და „მე და ის.“

„მე და ის“, – ამ ურთიერთობაში „მე“ დაშორებულია „ის“-ისაგან, ანუ მესამე პირისგან. „ის“ უცხოა, სხვაა, ზოგ შემთხვევაში მიუწვდომელიც. აქ ნდობას, ახლობლობას ადგილი არა აქვს. იგია დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის.

რაც შეეხება კავშირს „მე და შენ,“ აქ „შენ“ აღარ არის ობიექტი, არამედ იგიც სუბიექტია, „მე-ს“ თანასწორია და მათ შორის ურთიერთგაგება და სიყვარულია.

თუმცა ეს მდგომარეობა ხშირად იცვლება და „შენ“-ს ელის საშიშროება, იქცეს ობიექტად. ამის მიზეზი ცოდვით დაცემული ადამიანური ბუნებაა, ჩვენი ნაკლულევანებაა, ადრე თუ გვიან იმ რეალობის აღმოჩენაა, რომ ნებისმიერ ადამიანთან შეიძლება დამოკიდებულება შეიცვალოს.

ამიტომაც, თუ გვინდა, ამქვეყნად ვიცხოვროთ სწორად, გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილებისაგან დაცულად, ჩვენთვის „შენ“, უპირველესად, უნდა იყოს მარადიული, უცვალებელი ღმერთი, რომელიც ყოველთვის დაგვეხმარება დავძლიოთ ნებისმიერი გაუცხოება, ნებისმიერი სირთულე, ყოველი ადამიანური სისუსტე „მე და შენ“ ურთიერთობისა.

დიახ, ქრისტე განყენებული ღმერთი კი არ არის, თითოეულ ჩვენგანს პირად მეგობრობას გვთავაზობს; მისი შეცნობა და მასთან დაახლოება ეკლესიაში და ეკლესიური საიდუმლოებებით არის შესაძლებელი: ევქარისტიით თანაზიარნი ვხდებით მაცხოვრის ჭეშმარიტი ხორცისა და სისხლისა და ვიმსჭვალებით მისი ცხოველმყოფელი მადლით; ამასთან გვეუფლება საკუთარი უღირსების შეგრძნება და მიმტევებელნი ვხდებით. ღვთის დახმარების გარეშე კი ნებისმიერი ადამიანი, როგორც არ უნდა მოინდომოს მან ეს, უკეთესობისკენ ვერ შეიცვლება და ვერც ცოდვისაგან განიწმინდება.

და როგორც მაცხოვარმა საღვთო ძალით შემუსრა ჯოჯოხეთი და სიკვდილი, ჩვენც მხოლოდ ქრისტეს მადლითა და ძალით აღვსილთ ძალგვიძს მათი დამარცხება. ჩვენ ყველას ჩვენი გოლგოთა გველის და ყველა მართალს აღდგომა და ამაღლება.

შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: თუ მაცხოვარმა სიკვდილი დათრგუნა, რატომღა არსებობს იგი ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში?

შეგახსენებთ, რომ აღდგომილი ქრისტე იწოდება როგორც „მეორე ადამად,“ ისე „პირმშოდ შესვენებულთა“, რადგან გარდაცვლილთა შორის პირველმა მან შეიმოსა უხრწნელი სხეული, ანუ აღდგა იმ სახით, რაც ადამს, ღვთის მადლით, ჰქონდა ცოდვით დაცემამადე. ყველა ჩვენგანი კი მაცხოვრის მეორედ მოსვლისას აღვდგებით უხრწნელი სხეულით; მანამდე კი ხორციელი სიკვდილი იარსებებს, ვიდრე თუნდაც ერთი ადამიანი იქნება დედამიწაზე.

საყოველთაო განკითხვისას კი სიკვდილი საბოლოოდ განქარდება, რადაგან აღარც მატერიალური ცხოვრებაც დასრულდება და ყოველი ადამიანის სულიც, თავის უნივთო სხეულთან შეერთებული, საბოლოო ხვედრს განიკუთვნებს,– მართალნი, დამსახურებისამებრ, ზეციური იერუსალიმის სახდასხვა სავანეში, ცოდვილნი, – მარადიული სატანჯველის სხვადასხვა სამყოფელში.

ხოლო ვიდრე ეს ჟამი დამდგარა, ჯოჯოხეთში მყოფ გარდაცვლილთა მდგომარეობის შეცვლა, ღვთის მოწყალებით, კიდევ არის შესაძლებელი. მათ თავისი თავისთვის არაფრის გაკეთება არ ძალუძთ, მაგრამ ეკლესიის მეოხება, ახლობელთა მხურვალე ლოცვა და მათ სახელზე აღსრულებული ქველისსაქმენი, თვით ჯოჯოხეთიდანაც იხსნის იმ ადამიანთა სულებს, რომლებიც სინანულით აღესრულნენ, თუმც კი საქმით ვერ მოასწრეს ეჩვენებინათ ამის ნაყოფი. ასეთნი გამოხსნადნი არიან და ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ მათთვის.

რაც შეეხება ცხონებულთა მდგომარეობას, მართალია, ისინი ზეცად ნეტარებენ, მაგრამ თავისი რწმენისა და ღვაწლის სრულ საზღაურს ისინიც მაცხოვრის მეორედ მოსვლისას მიიღებენ.

ეს არის მართალმადიდებელი ეკლესიის სწავლება, რომელიც, რა თქმა უნდა, ბევრმა იცის, მაგარამ ბევრსაც სწორი წარმოდგენა არა აქვს, ამიტომაც ამ თემას შევეხეთ.

რაც შეეხება ამქვეყნად მყოფთ: ჩვენ ერთმანეთს ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს ვუსურვებთ ხოლმე და ამისათვის მეტ-ნაკლებად ყველანი ვზრუნავთ, მაგრამ ყველა არ ზრუნავს იმისათვის, რომ სწორად, ღვთისნიერად იცხოვროს; არადა, სიცოცხლის ხანგრძლივობა უფლის ნებაზეა დამოკიდებული, სწორად ცხოვრება კი, – ჩვენზე. შევთხოვთ ღმერთს, ეს იქცეს ყოველი ადამიანის უმთავრეს მიზნად.

– რით დავიწყოთ?

– სინანულით, როგორც გვასწავლის წმინდა იოანე ნათლისმცემელი, როგორც გვასწავლის იესო ქრისტე.

იგია სასწაულთმოქმედი წამალი ჩვენი სულისა!

სინანული ზეციური ნიჭია და წყალობაა, რომელიც ღვთის მსჯავრსაც კი სცვლის; სცვლის პიროვნებისადმი როგორც შემოქმედის, ისე მოყვასის დამოკიდებულებას. მეძავიც, ქურდიც, ამპარტავანიც, მოშურნეც, ლოთიც, შეურაცხმყოფელიც და მოძალადეც... გულწრფელი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით მთელ ჭუჭყს იცილებს და ბოროტებას ასამარებს.

სინანული სინდისის განწმენდაა, ნათლისღების განახლებაა, ცოდვით მომკვდართა აღდგომა და ღმერთთან კავშირის განახლებაა, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილი ცოდვის შესაბამისი იქნება.

უფლისათვის ცოდვის სიმძიმე იმდენად გამამწარებელი არ არის, რამდენადაც გამოსწორების სურვილის არქონა. ხოლო ცოდვით თავმოწონება ან საზოგადოებისთვის მისი თავსმოხვევა გაცილებით დიდი დანაშაულია.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ სინანული დროის ხანგრძლივობით არ განისაზღვრება, არამედ განცდის სიღრმით, რადგან სხვა არის სამართალი ღვთისა და სხვა ადამიანისა. ამასათან სულიერ კიბეზე ამაღლება ნებისმიერ პიროვნებას ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია და ამ წუთისოფელში არ არსებობს ბოროტება, არ არსებობს ისეთი დაცემული მდგომარეობა, საიდანაც უფლისაკენ მობრუნება იყოს შეუძლებელი, რადგან არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელიც აღემატება ღვთის სიყვარულსა და მოწყალებას.

გავიხსენოთ ვნების კვირაში განვითარებული მოვლენები: გამცემელი იუდა, უფლის სამგზის უარმყოფელი, – გულმხურვალე მოციქული პეტრე, შეშინებული მოწაფეები, ერთგული იოანე და მენალსაცხებლე დედები, ფარული ქრისტიანები, პირადი კეთილდღეობისათვის უსამართლო მსჯავრის გამომტანი პილატე, ასევე უსამართლო სინედრიონი, მათ მინდობილი გულუბრყვილო ხალხი და სხვანი.

გავიხსენოთ ორი ავაზაკიც, ისინი ხომ ჯვარცმამდე, ფაქტიურად, მსგავისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ერთი ხვედრი ამიტომაც ერგოთ. სულ ბოლო მომენტში, კი, – ჯვარზე, – მათი გზები რადიკალურად გაიყო: ერთმა სინანულითა და ქრისტეს რწმენით სამოთხე დაიმკვიდრა, მეორემ კი, უტიფრობითა და უგულისხმობით, – ჯოჯოხეთი.

თითოეულ ჩვენგანს ჩვენი გზა და ჯვარი გვაქვს. როგორი იქნება იგი და სადამდე მიგვიყვანს?

ინებოს ღმერთმა, ჩვენც ჩვენი გულწრფელობითა და ცოდვის განცდით მაცხოვრის შეწყალების ღირსნი გავხდეთ და საყოველთაო აღდგომის დღეს ჩვენც განგვეცხადოს მისი სიტყვები: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ სამყაროს შექმნიდან თქვენთვის განმზადებული სასუფეველი“ (მთ.25,34).

გიხაროდეთ, ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, უდინნო, ქურთნო, იეზიდნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ებრაელნო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო შვილნო ივერიისა, ჩვენს სამშობლოში მკვიდრნო და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო,

## სიკვდილი შეიმუსრა!

# ქრისტე აღდგა!

## უფალი მეფობს!

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II**

***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი***
***მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,***
***ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი***

თბილისი,
აღდგომა ქრისტესი
16.04. 2017.

# „კანონის ახალი რედაქციით ამოქმედების შემდეგ ყოველ წელს თამბაქოს მოხმარება 1-2%-ით შემცირდება“

თამბაქოს შესახებ კანონის ახალი რედაქციით ამოქმედების შემდეგ საქართველოში თამბაქოს მოხმარება 1-2%-ით შემცირდება – ამის შესახებ განცხადება დაავადებათა კონტროლის ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსმა **ლელა სტურუამ** რადიო „კომერსანტის“ გადაცემა „სოციალურ პოლიტიკაში“ გააკეთა.






– თამბაქოს შესახებ კანონი ჩვენ უკვე გვაქვს. ახლა ცვლილებები შედის და მომავალში იმუშავებს თუ არა კანონი ამ ფორმით, მერე გამოჩნდება. მთავარი ზოგადად არის პოლიტიკური ნება, რომელიც დღეს არსებობს, შესაბამისად, იმის თქმის გარანტიას, რომ ეს კანონი რეალურად იმუშავებს, სწორედ ეს გარემოება მაძლევს. უნდა მოიძებნოს სტრუქტურა, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ამა თუ იმ მიმართულებით თამბაქოს კონტროლის კანონის შესრულებაზე.

ჩემი აზრითა და ჩემი ინფორმაციით, სხვადასხვა სტრუქტურა იქნება პასუხისმგებელი სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, ფინანსთა სამინისტრო საავადმყოფოს არ შეამოწმებს და არ დააჯარიმებს. თუკი აქამდე ერთი ადამიანისთვის ჯარიმის დაწერა თვეობით შეიძლებოდა სასამართლოში გაგრძელებული, ახლა ასე აღარ ხდება და გამარტივებულია.

მისივე თქმით, ეს კანონი არის დაფუძნებული საერთაშორისო გამოცდილებაზე. – თუ გვინდა, რომ ეფექტს მივაღწიოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ყველა ადგილი უკლებლივ დაცული უნდა იყოს მოწევისგან. რაც შეეხება პირად საკუთრებას, თუ ლიცენზიას იღებ, რომ ხარ საზოგადოებრივი კვების ობიექტი, მაშინ უნდა დაექვემდებარო იმ კანონებს, რომლებიც არსებობს. ამას გარდა, ჩვენ გვყავს დასაქმებულები, რომლებიც ამ ადგილებზე მუშაობენ და არიან პასიური მწეველები, ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვა თითოეული ადამიანისთვის, – განაცხადა ლელა სტურუამ.

რაც შეეხება იმას, თუ რა მდგომარეობა გვაქვს თამბაქოს მოხმარების კუთხით დღეს და რა შედეგი უნდა მივიღოთ ამ კანონით, სტურუას ასეთი პოზიცია აქვს:

– საქართველო თამბაქოს მოხმარებით ევროპის ქვეყნებს შორის მეორე ადგილზეა. გვისწრებს მხოლოდ რუსეთი, რომელმაც გადადგა ძალიან ქმედითი ნაბიჯები და ცოტა ხანში ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა ექნება. განსაკუთრებით იმატებს თამბაქოს მოხმარება ქალბატონებსა და ბავშვებში. არ განვსხვავდებით ზოგადად მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ტენდენციებისგან, მაგრამ ისინი 40-50 წლის წინ მიხვდნენ, რომ ეს მაჩვენებლები უნდა შეემცირებინათ. ეს ინდუსტრია ყიდის სიკვდილს და რატომ არ უნდა შევუქმნათ ამ სფეროს პრობლემები არ მესმის.

კანონის ახალი რედაქციით ამოქმედების შემდეგ ყოველ წელს თამბაქოს მოხმარება 1-2%-ით შემცირდება. ეს არის აბსოლუტურად რეალური. ეს კანონი ყველგან მუშაობს და ჩვენც არ ვიქნებით გამონაკლისი, – დასძინა სტურუამ.

საქართველოს კანონის პროექტი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ყველა ტიპის შენობაში მოწევის სრულ აკრძალვას ითვალისწინებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, პირველი მოსმენით მიიღეს. კანონით, თამბაქოს მოწევა იკრძალება ყველა დახურულ სივრცეში, გარდა საცხოვრებელი სახლისა და საპატიმრო დაწესებულებებისა. მოწევა ზოგიერთ ღია ადგილშიც აიკრძალება.

შენობაში თამბაქოს მოხმარებისთვის იურიდიული პირი თავდაპირველად 500 ლარით, განმეორების შემთხვევაში 2 ათასით, ხოლო სისტემატური მოხმარებისას 5 ათასი ლარით დაჯარიმდება.

ასევე, აიკრძალება თამბაქოს ნაწარმის რეკლამა (მათ შორის, ვიტრინებსა და სავაჭრო ობიექტის შიგნით გამოფენა), პოპულარიზაცია და სპონსორობა. აკრძალული იქნება პროდუქციის გზის ნაწილზე განლაგება.

კანონპროექტის ინიციატორი პარლამენტის წევრი გუგული მაღრაძეა. მისი მოსაზრებით, კანონში სპეციალური ოთახების მოწყობა მწეველებისთვის არ უნდა იყოს გაწერილი.

პარლამენტში კანონპროექტის მეორე მოსმენაზე, კანონის მიღების შემდეგ მისი ადმინისტრირების წესი უნდა გადაწყდეს. ახალი რეგულაციები ძალაში 2018 წლიდან შევა.

# უახლოეს 20 წელიწადში პროფესიების 9%-ს გაქრობა ემუქრება

1.000 თანამშრომელზე რობოტების რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა ქვეყანაში დასაქმებულების ხელფასს 0,5%-ით ამცირებს და ასევე 0,34%-ით ამცირებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობას – ასეთია ბოსტონის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომისტის დარონ აჯემოგლუსა და იელის უნივერსიტეტის პროფესორ პასკალ რესპეროს კვლევის შედეგები.

ეკონომისტების აზრით, რობოტიზაციის დონით ამერიკა ჩამორჩება ევროკავშირს იმის მიუხედავად, რომ კვლავ უსწრებს ევროპას შრომის ნაყოფიერებაში. მეტწილად ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ რობოტიზაცია ძირითადად ეხება ავტომობილების და ელექტრონიკის წამოებას, რომელიც აშშ-ში კრიზისს განიცდის.

დარონ ჯემოგლუმ და პასკალ რესპერპომ დააანონსეს ახალი ნაშრომის გამოცემა, რომელიც შეეხება რობოტების გავლენას აშშ-ს შრომის ბაზარზე. ისინი დეტალურად გააანალიზებენ ეკონომისტების გათვლებს 1997-2016 წლებში ამერიკის შრომის ბაზარზე ავტომატიზაციის გავლენის შესახებ.



ეს საკითხი ნაწილობრივ გაშუქდა ამავე ავტორების სტატიაში „რბოლა ადამიანსა და მანქანას შორის“, რომელშიც განიხილება შესაძლებელი „ტექნოლოგიური უმუშევრობის“ დონე.

პირველად მომავალი „ტექნოლოგიური უმუშევრობის შესახებ“ დაწერა ამერიკელმა ეკონომისტმა ჯონ კეინსმა ჯერ კიდევ შორეულ 1930 წელს. იმის მიუხედავად, რომ ამ ეტაპზე ტექნოლოგიების გამოყენების გამო უმუშევრობის ნახტომისებრი ზრდა ჯერ-ჯერობით არ შეიმჩნევა, ბოლო წლებში მედიაში ეს არის ძალიან პოპულარული თემა, მათ შორის ევროკავშირში უმუშევრობის ისტორიულ დონემდე ზრდის გამო.

თუმცა, მეტ-ნაკლებად სარწმუნო გათვლები ამ საკითხთან დაკავშირებით გაჩნდა მხოლოდ 2015-2016 წლებში კონსალტინგური ჯგუფების BCG და McKinsey-ს კვლევებსა და ამერიკელი ეკონომისტის მარტინ ფორდის წიგნში „რობოტების გათენება“.

ამჟამად მსოფლიოში მუშაობს 1,17 მლნ სამრეწველო რობოტი – ავტომრეწველობაში მათი წილი შესრულებულ სამუშაოებში აღწევს 39%-ს, ელექტროწარმოებაში – 19%-ს, მეტალურგიასა და ქიმიაში – 9%-ს.

ყველაზე მეტი რობოტი აშშ-ში არის არა ისეთ ტექნოლოგიურ ცენტრებში, როგორებიც კალიფორნია ან ატლანტაა, არამედ რეგიონებში, სადაც განვითარებულია „ტრადიციული“, „ძველი“ ეკონომიკა – დენვერი, ჩიკაგო და ტეხასი. ამით შეიძლება აიხსნას რობოტების შედარებით მცირე რაოდენობა – მეტალურგია და ავტომრეწველობა იმყოფება ღრმა სტაგნაციის პირობებში, თანაც ამ დარგებშია პროფკავშირების ძალიან ძლიერი გავლენა. აშშ-ის ელექტრომრეწველობის სექტორი კი არ არის დიდი, რადგანაც ის მეტწილად გადატანილია ჩინეთში.

სხვათა შორის, „ტექნოლოგიური უმუშევრობის“ შიში იყო დონალდ ტრამპის საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი. სავარაუდოდ, მას ასევე გამოიყენებენ 2017-2018 წლებში ევროპაში დაგეგმილ არჩევნებში. მით უმეტეს, ევროკავშირში უმუშევრობა იზრდება უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე შტატებში.

უახლოეს 20 წელიწადში პროფესიების 9%-ს ემუქრება გაქრობა რობოტების გამო, თუმცა, აჯემოგლუსა და რესპეროს აზრით, შიშები ტექნოლოგიურ უმუშევრობასთან დაკავშირებით გადაჭარბებულია.

1993 წლიდან რობოტებმა დატოვეს უმუშევრად მხოლოდ 670.000 ადამიანი. აშშ-ის წარმოების სექტორის მხოლოდ მცირე ნაწილს ემუქრება სამუშაო ადგილების შემცირება ავტომატიზაციის გამო.

აჯემოგლუსა და რესპეროს აზრით, ეს რისკები გაცილებით უფრო მაღალია ევროკავშირში. ყველაზე რისკიანია ამ კუთხით გერმანია და ავსტრია.

საშუალოდ რობოტებს შეუძლიათ, 20 წლის განმავლობაში შეამცირონ სამუშაო ადგილების რაოდენობა ევროპაში 9%-ით – საშუალოდ 1 რობოტი ანაცვლებს 6,2 მუშას.

საგულისხმოა, რომ დონალდ ტრამპის „სამუშაო ადგილების აშშ-ში“ დაბრუნების პოლიტიკა თეორიულად გაამძაფრებს ამ პრობლემას, რადგან ამერიკის მრეწველობაში ახალი ინვესტიციები, სავარაუდოდ, წავა ავტომატიზებულ დარგებში და არა მაღალი დასაქმების მქონე სფეროებში.

# დაცულობისა და უსაფრთხოების რეიტინგში საქართველომ 136 ქვეყანას შორის 29-ე ადგილი დაიკავა

დაცულობისა და უსაფრთხოების რეიტინგში საქართველომ 136 ქვეყანას შორის 29-ე ადგილი დაიკავა.

ამის შესახებ ნათქვამია გავლენიანი შვეიცარიული არასამთავრობო ორგანიზაციის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017 წლის ანგარიშში.

ანგარიშის თანახმად, საქართველომ ქვეყნებს შორის, დაცულობისა და უსაფრთხოების კუთხით, 29-ე ადგილი დაიკავა.

– ბოლო წლების განმავლობაში, აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, ეს ქვეყნისთვის საუკეთესო მაჩვენებელია. 2011 წელს საქართველო 47-ე ადგილს იკავებდა. წინა, 2015 წლის ანგარიშთან შედარებით კი, მან პოზიცია სამი პუნქტით გაიუმჯობესა და 32-დან 29-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, დაცულობისა და უსაფრთხოების რეიტინგს ქვეყნებში სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ადგენს, მათ შორისაა, ბიზნესზე კრიმინალისა და ძალადობის გავლენის ინდექსი. აღნიშნული ინდექსის მიხედვით, საქართველო ამჯერად 23-ე ადგილს იკავებს. 2011 წელს იგი 41-ე ადგილზე იმყოფებოდა, 2015 წელს კი – 29-ე ადგილზე.

შვეიცარიული არასამთავრობო ორგანიზაცია – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (The World Economic Forum (WEF) – ქალაქ დავოსში, ყოველწლიურად უმსხვილესი ბიზნესისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლების, სხვადასხვა პროფილის მქონე ანალიტიკოსებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით შეხვედრებს მართავს. ფორუმის მონაწილეები მსოფლიოში არსებულ პრობლემატურ საკითხებს

განიხილავენ და ბიზნესის განვითარების, უსაფრთხოებისა და ტურიზმის კუთხით ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე მსჯელობენ.

შვეიცარიული არასამთავრობო ორგანიზაცია ანგარიშს მოგზაურობისა და ტურიზმის შესახებ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ აქვეყნებს და მასში 136 ქვეყნის რეიტინგია მოცემული.

აღნიშნულ ინფორმაციას შს სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.



# სამყაროს ყველაზე დიდი და გავლენიანი კომპანიები

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩინური ინტერნეტკომპანია Tencent Holdings Ltd., რომელიც ძირითადად ჭეჩჰატ-ის მიმოწერის პროგრამითა და თამაშების წარმოებით არის ცნობილი, ამ სიის პირველ ათეულში მოექცა.



ბოლო კვარტალში, აქციებზე 1,6%-იანი ზრდის შემდეგ, ამ კომპანიის კაპიტალიზაციამ 279 მილიარდი დოლარი შეადგინა და სულ მცირედით გადაასწრო Wells Fargos.

ათი ყველაზე ძვირად შეფასებული კომპანიის ჩამონათვალში 6 ტექნოლოგიურია. აქედან 4 სიაში წამყვან ადგილებს იკავებს: Apple, Alphabet, Microsoft, Amazon.

პირველ ადგილზე მყოფი Apple-ის კაპიტალიზაცია 750 მილიარდზე მეტია და, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ვერც ვერავინ გაუწევს კონკურენციას.

# რეფერენდუმი: ერდოღანმა მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა



ოპოზიცია შედეგებს ასაჩივრებს

16 აპრილს თურქეთში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული რეფერენდუმი გაიმართა.

51,6%-მა საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი დაუჭირა, 47% წინააღმდეგი გამოვიდა. ერდოღანმა წააგო ისეთ დიდ ქალაქებში, როგორებიცაა სტამბოლი, ანკარა, იზმირი, ადანა, ანტალია.

საზღვარგარეთ კი თურქეთის მმართველმა პარტიამ შემდეგნაირი მხარდაჭერა მიიღო: გერმანია – 63%, საფრანგეთი – 65%, აშშ – 14%, დიდი ბრიტანეთი – 18%, ჰოლანდია – 68%, იტალია – 39%.

პრეზიდენტმა დაძაბულ ბრძოლაში და მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა. ფაქტია ისიც, რომ თურქეთის საზოგადოება პოლარიზებულია.

რეფერენდუმის შემდეგ თურქეთი კვლავაც რესპუბლიკად რჩება. კატეგორიული უარი ითქვა სხვისი ტერიტორიების დაპყრობაზე, ანუ ხელუხლებელია ის ფასეულობები, რომლებიც თურქეთში ქემალ ათა თურქმა დაამკვიდრა.

მიუხედავად ამისა, ევროპაში თურქული რეფერენდუმის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა.

ევროპელი ლიბერალების შეშფოთებას იწვევს ის, რომ თურქეთში პრეზიდენტის უფლებამოსილებები ძალიან იზრდება. პრემიერ-მინისტრის პოსტი უქმდება. პრეზიდენტი, იმავდროულად, მთავრობის მეთაურიც ხდება. მას უფლება ეძლევა, მოხსნას ან დანიშნოს მინისტრები, დაშალოს პარლამენტი, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა.

– ვიმედოვნებთ, რომ ერდოღანი კონსენსუსის გამოძებნას შეძლებს და საზოგადოების შემდგომ გახლეჩას არ დაუშვებს, – განაცხადა ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერმა.

თურქეთის ოპოზიცია რეფერენდუმის შედეგების გასაჩივრებას აპირებს. აღნიშნულის შესახებ ოპოზიციური „სახალხო რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარის მოადგილე ერდალ აქსიუნღერიმ განაცხადა.

# მორიგი ტერაქტი სირიაში




სირიაში ტერაქტი მოხდა. ამჯერად ალეპოს მახლობლად შიიტი ლტოლვილებით სავსე ავტობუსი ააფეთქეს.

თანახმად პარტიზანებსა და სირიის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებისა, ალეპოდან ლტოლვილთა ევაკუაცია მიმდინარეობდა, როცა ტერორისტებმა ავტობუსი ააფეთქეს.

შედეგად 126 ადამიანი დაიღუპა, 30-მდე დაშავდა. დაღუპულთაგან 68 ბავშვია.

# ტრამპის მრჩეველი: „რუსეთთან ხისტი მოლაპარაკებების დაწყების დრო დადგა"



აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში, გენერალმა მაკმასტერმა განაცხადა, რომ მოსკოვი ასადის მხარდაჭერას არ შეწყვეტს, შესაბამისად, სირიაში ომი გაგრძელდება. ასევე გაგრძელდება სისხლისღვრა მეზობელ ერაყში. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია კრემლის ძირგამომთხრელი საქმიანობის გააქტიურება დასავლეთ ევროპაშიც.

– დადგა დრო, როცა რუსეთთან მოლაპარაკებები მაქსიმალურად ხისტი პოზიციებიდან უნდა წარიმართოს! – ამბობს მაკმასტერი.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ხაზი გაუსვა, რომ რუსებს, თავიანთი მენტალიტეტიდან გამომდინარე, მხოლოდ ჯოხის ენა ესმით. კეთილ, სამართლიან მოპყრობას ისინი სისუსტედ აღიქვამენ. ასე იყო ობამას პრეზიდენტობის დროს, როცა აშშ ცდილობდა, მოსკოვის ინტერესები მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა და ნებისმიერ ფასად გამწვავება თავიდან აეცილებინა.

– ამჟამინდელი დაძაბული ვითარება სწორედ ობამას სირბილემ განაპირობა, – თქვა მაკმასტერმა.

# მაიკ პენსი: „ჩრდილოეთ კორეის გამოხდომებს არ შევეგუებით"

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი სამხრეთ კორეაში ჩავიდა. ის ამერიკელ სამხედროებთან ერთად სააღდგომო წირვას დაესწრო. პენსმა ამერიკელ ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა.

– თქვენ ამ რეგიონში თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალებს იცავთ! მე ვამაყობ თქვენით ისევე, როგორც ამაყობს მთელი ამერიკა! – თქვა პენსმა.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, პენსისთვის აღდგომა „მიელოცა." ზუსტად მაშინ, როცა სამხრეთ კორეაში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჩავიდა, ფხენიანმა ბალისტიკური რაკეტის გამოცდა დააპირა. ეს ჩაიშალა. რაკეტა აფეთქდა.

– ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ აღარც იმ გამოხდომებს შევეგუებით, რომელსაც ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობა ახორციელებს! – განაცხადა მაიკ პენსმა.

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა რაკეტის აფეთქება ამერიკელების ხრიკებს დააბრალა და ვაშინგტონს საპასუხო ზომებით დაემუქრა. მან აღნიშნა, რომ ბირთვული ომისთვისაც მზად არის.

ამან მაიკ პენსზე გავლენა არ იქონია.

– ძაღლი, რომელიც ყეფს, არ იკბინება! – თქვა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა.



პენსმა ხაზი გაუსვა, რომ როგორც სამხრეთ კორეა, ასევე იაპონია და აშშ-ის სხვა მოკავშირენი რეგიონში საიმედოდ არიან დაცულნი.

– მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას ადეკვატური პასუხი მოჰყვება, – განაცხადა პენსმა.

# რუსეთი: ოპოზიციის დევნა გრძელდება




რუსულმა დემოკრატიულმა ოპოზიციამ ცადა, პეტერბურგში საპროტესტო მსვლელობა გაიმართა. ნავალნის მომხრეებმა ცადეს, ის მარშრუტი გაევლოთ, რომელიც ოდესღაც დეკაბრისტებმა გაიარეს და სენატის მოედანზე გასულიყვნენ.

პოლიციამ დემონსტრანტები დაარბია. დაკავებულია 20 ადამიანი.

ოპოზიციონერებს საპროტესტო აქციის გამართვის საშუალება სოჭშიც არ მისცეს.

პოლიციამ იქაც ძალა გამოიყენა. დაკავებულია 12 მოქალაქე.

# საპროტესტო აქციები ბუდაპეშტში



უნგრეთის დედაქალაქში საპროტესტო აქციებია. მანიფესტანტები პრემიერ ორბანის ავტორიტარულ მმართველობას აპროტესტებენ.

ორბანი ნაციონალ-პოპულისტური ფრაზეოლოგიით არის ცნობილი. უკანასკნელ ხანს ის აქტიურად უჭერს მხარს პუტინს, გამოდის „სოროსელთა ექსპანსიის" წინააღმდეგ და ა.შ.

განსაკუთრებით საგანგაშოა ზოგიერთი უნგრელი მაღალჩინოსნის რიტორიკა იმიერკარპატისპირელი რუსინებისთვის ავტონომიის მინიჭების აუცილებლობაზე. თავად იმიერკარპატისპირეთში ავტონომიას მხარს მხოლოდ იქაური მოსახლეობის 3% უჭერს.

– ეროვნება რუსინი არ არსებობს. ჯერ კიდევ 1990 წელს სუკ-ის ხელდასხმით აღმოცენდა მარგინალური მოძრაობა, რომელიც თავის თავს რუსინებს უწოდებდა და უკრაინის წინააღმდეგ გამოდიოდა. დღეს პუტინი კვლავ ცდილობს, „რუსინული კარტა" უკრაინის წინააღმდეგ გამოიყენოს, – ამბობს უკრაინის ექსპრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო.

ორბანს უნგრელთა უმრავლესობა პუტინთან კავშირსა და ავტორიტარიზმში ადანაშაულებს.

პრემიერის წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად ახალგაზრდობა გამოდის. თავად ორბანი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ აზვირთებული აქციები ხელოვნურია:

– ამის უკან დასავლეთის სპეცსამსახურები და ბოშათა მაფია დგას, რომელსაც მე უნგრეთში პარპაშის საშუალებას არ ვაძლევ, – აცხადებს ორბანი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ლისაბონში თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა

პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში თვითმფრინავი აფეთქდა და დასახლებულ პუნქტში ჩავარდა.

შემთხვევის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა. არიან დაშავებულებიც, ამიტომ დაღუპულთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

თვითმფრინავი მარსელში მიფრინავდა და მასზე 4 ადამიანი იმყოფებოდა. ოთხივე მათგანი დაიღუპა.

თვითმფრინავი სუპერმარკეტთან ახლოს ჩამოვარდა დასახლებულ პუნქტში. თუ რა გახდა თვითმფრინავის აფეთქების მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.



*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

- პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას; სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, მამაკაცებში მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატურასა და სქესობრივი კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორებს". კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# თბილისის დინამომ შუქურას 5 გოლი გაუტანა



გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**დინამო (თბ)-შუქურა 5:0**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 პაპუნაშვილი (14), 2:0 არაბული (55), 3:0 ლობჟანიძე (61), 4:0, 5:0 არაბული (72, 79)

**დინამო:** ლიტოვჩენკო, მიშენკო, გველესიანი, ლოჩოშვილი, თოთაძე, ქარდავა (ნინუა 77), კიტეიშვილი, მიქელთაძე, ლობჟანიძე (ჩაკვეტაძე 68), პაპუნაშვილი (ზარია 72), არაბული

**შუქურა:** ჯიოევი (სტურუა 57), ჩაჩუა, კლეცკოვი, მახარაძე, ცეცხლაძე, კლიმიაშვილი, ჟეფინიუ, გურული (არქანია 46), საბაძე (მამულაშვილი 37), კუტალია, ართმელაძე

მატჩი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და მთელი შეხვედრა დიდი სათამაშო უპირატესობით წარმართეს. უკვე მე-2 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა ბექა მიქელთაძეს, რომელიც მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ აზამატ ჯიოევს ვეღარ აჯობა. დინამოელებმა უმატეს შეტევებს და რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ მე-14 წუთზე გახსნეს ანგარიში: ოთარ კიტეიშვილმა მოედნის ცენტრიდან ზუსტი გადაცემით გიორგი პაპუნაშვილი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ – 1:0.

თბილისელებს არც გატანილი გოლის შემდეგ დაუგდიათ ტემპი. 38-ე წუთზე კიდევ ერთხელ გადარჩა ქობულეთელთა კარი. საბა ლობჟანიძის ჩაწოდების შემდეგ, გიორგი პაპუნაშვილი ერთი შეხებით გზავნიდა ბურთს, ჯიოევმა კარგად ითამაშა და განმუხტა სიტუაცია. პირველ ნახევარში აღარაფერი შეცვლილა.

მეორე ტაიმში დებიუტში მასპინძლებმა კიდევ ერთი საგოლე შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. ოთარ კიტეიშვილის ახლო მანძილიდან დარტყმული ჯიოევმა კუთხურზე უკუაგდო. 55-ე წუთზე პაპუნაშვილმა ჩამოაწოდა კუთხურიდან, თავური დარტყმით გიორგი გველესიანი გზავნიდა ბურთს შუქურას კარისკენ. სტუმრები ხარიხამ იხსნა, მაგრამ დამატებაზე ბაჩანა არაბულმა ყველას დაასწრო და მეორე გოლი გაიტანა.

6 წუთში დინამომ კიდევ ერთი გოლი გაიტანა და შეხვედრაში გამარჯვებულის ბედიც გადაწყდა. პაპუნაშვილის ტექნიკური გადაცემის შემდეგ, ლობჟანიძემ ანგარიში 3:0 გახადა.

10 წუთის შემდეგ დედაქალაქელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს. შეცვლაზე შემოსულმა გიორგი ჩაკვეტაძემ ზუსტი პასით მეკარეს არაბული შეატოვა, რომელმაც დუბლი გაიფორმა. 79-ე წუთზე კი, არაბულმა ჰეთ თრიქის შესრულებაც მოახერხა. საკმაოდ ლამაზი გადაცემა მას ჩაკვეტაძემ გაუკეთა.

დინამომ შეხვედრა 5:0 მოიგო და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე აინაცვლა.

**ტორპედო-ჩიხურა 2:1**

**ქუთაისი.** რამაზ შენგელია

0:1 ივანიშვილი (10), 1:1, 2:1 კუხიანიძე (14პ, 81)

**ტორპედო:** რ.კვასხვაძე, ხურცილავა, ადამაძე, გურული, ქიმაძე, გიგაური, კუხიანიძე, მახარობლიძე (ტულუში 10), დოლიძე, ბაბუნაშვილი (კუჭუხიძე 61), საბანაძე (კაპანაძე 78)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მირცხულავა, განუგრავა, კორიფაძე, ტატანაშვილი (ლექვთაძე 76), კაკუბავა, ივანიშვილი (გეგეჭკორი 82), დობროვოლსკი, ჭელიძე, გორგიაშვილი, დეკანოიძე (სარდალიშვილი 59)

**გაძევება:** კაკუბავა (52)

ამ მატჩამდე ტორპედოელებს ეროვნული ჩემპიონატის ზედიზედ 5(3 საშინაო) მატჩი ჰქონდათ წაგებული ჩიხურასთან და სამწლიან არასასიამოვნო ტენდენციას, როგორც იქნა, წერტილი დაუსვეს.

იმერული დერბი საკმაოდ მძაფრი გამოდგა და სტუმართა მხრიდან ზედმეტად ხისტი თამაშით აღინიშნა, რისი დასტური არბიტრის მიერ მათთვის მრავლად დარიგებული ყვითელი ბარათები და ლევან კაკუბავას გაძევება იყო.

სადებიუტო წუთები ორმხრივი აქტიურობით მიმდინარეობდა. ტორპედოელთა პირველი შეტევისას გრიგოლ დოლიძის მიერ ფლანგიდან საჯარიმოში გაგზავნილი ბურთი ბაქარ მირცხულავას ხელზე მოხვდა, თუმცა არბიტრს ეპიზოდზე რეაგირება არ მოუხდენია. საჩხერელებმა უმალ საპასუხო იერიში განახორციელეს – დიმიტრი ტატანაშვილს საჯარიმოში ქუთაისელი მცველის შეცდომით უნდა ესარგებლა, თუმცა როინ კვასხვაძეს ვერ აჯობა. ცოტა ხანში სტუმრებმა მაინც მოახერხეს დაწინაურება: გიორგი ივანიშვილმა მცველებს შეცდომა არ აპატია და მეკარეს პრაქტიკულად აუღებელი დაურტყა.

მასპინძლებმა ანგარიში მალევე, 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაათანაბრეს: დავით ხურცილავას მიერ მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოსკენ გაგზავნილ ბურთზე საჩხერელმა მცველმა ხელით ითამაშა და გიორგი კუხიანიძემ პენალტი გოლად გარდასახა – 1:1.

მე-2 ტაიმის დასაწყისში მასპინძლები შესამჩნევ უპირატესობას ფლობდნენ. 50-ე წუთზე მათ დაწინაურების საუცხოო შანსი მიეცათ. ნიკა საბანაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მოატყუა კიდეც ჰამზიჩი, რომელმაც თითქოს ხელი გამოჰკრა შემტევს, საბანაძემ თავი ვერ შეიკავა და წაიქცა, კაკუბავამ კი სიტუაცია განმუხტა. კაკუბავას იქნებ შემდეგშიც გადაერჩინა გუნდი, მაგრამ მალევე მეორე გაფრთხილების გამო დაატოვებინეს მოედანი.

ტორპედომ უფრო აქტიურად შეუტია კაცნაკლულ მეტოქეს. ჰამზიჩის კართან სახიფათო მომენტები გახშირდა. საბანაძის ძლიერი შორეული დარტყმის შემდეგ მეკარემ კუთხურზე გადააგდო ბურთი, გურამ ადამაძის „მაკრატელა" კი მიზანს აცდა. უქმად არც საჩხერელები ყოფილან და როინ კვასხვაძესაც მოუხდა ოსტატობის დემონსტრირება – ტორპედოელთა კაპიტანმა მიშიკო სარდალიშვილის მიერ დაბალ კუთხეში სახიფათოდ დარტყმული კუთხურზე მოიგერია.

81-ე წუთზე მასპინძლებმა მორიგი იერიში განავითარეს. დოლიძემ მარჯვნიდან კარგად ჩაჰკიდა ბურთი მეტოქის საჯარიმოში, სადაც კუხიანიძემ იმარჯვა და თავურით წინ გაიყვანა თავისი გუნდი.

დარჩენილ დროში ქუთაისელები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და მათ უფრო დამაჯერებელი ანგარიშით შეეძლოთ მატჩის მოგება.

ლაშა კუჭუხიძეს, რომელიც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ პირველად გამოჩნდა ტორპედოს რიგებში, 2 ასპროცენტიანი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. არ გაუმართლა თორნიკე კაპანაძეს, დოლიძეს...

**საბურთალო-დინამო (ბთ) 2:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 ბიძინაშვილი (28), 2:0 კოხრეიძე (61)

**საბურთალო:** კუპატაძე, ელვინ ტერა (მალი 80), მარგველაშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი, მამუჩაშვილი, არზიანი (ალთუნაშვილი 69), ვაგნერი, ბიძინაშვილი, შინდაგორიძე, იმნაძე (კოხრეიძე 60)

**დინამო:** ტიმოფეევი, ფარტენაძე, გოგიტიძე, მგელაძე, სუხიაშვილი, შონია, ქავთარაძე, უგოალა, ტვილდიანი (თევდორაძე 46), ფლამარიონი (ფონიავა 64), კვასოვი (კვანტალიანი 70)

ორივე გუნდისთვის პრინციპული შეხვედრა იყო, რადგან, სატურნირო მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, გუნდები ერთმანეთის მეზობლად იმყოფებოდნენ. თბილისელებმა ჩაბრაძის, გოშთელიანის, ნადარაიას, იაშვილისა და გრიგალაშვილის გარდა, გიორგი ხარაიშვილიც მოისაკლისეს, რომელმაც ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. რაც შეეხება სტუმრებს, დისკვალიფიცირებული იყო თორნიკე თარხნიშვილი, ტრავმის გამო დავით კვირკველიას არ უთამაშია.

თამაში ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო. ამიტომაც იყო, რომ საწყის წუთებში გუნდები პირველი ბურთის მოპოვებას ცდილობდნენ. ტაიმის შუაში სტუმრებს შეექმნათ ხელსაყრელი ეპიზოდი, მაგრამ თავური დარტყმა სუსტი გამოდგა. რამდენიმე წუთში ელვინ ტერამ რამდენიმე მეტოქე უკან ჩამოიტოვა და საჯარიმოში ჩააწოდა, ირაკლი ბიძინაშვილმა ახლო მანძილიდან მარცხენა ფეხით ზუსტი დარტყმა ვერ განახორციელა. სამაგიეროდ, ბიძინაშვილმა შედეგიანად 28-ე წუთზე დაარტყა, როდესაც ბრაზილიელმა ვაგნერმა დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და 1:0. პირველი ნახევარი თბილისელებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს.

მეორე ტაიმში მატჩის სცენარი არ შეცვლილა – საბურთალო ბურთს აკონტროლებდა და პარალელურად შეტევაშიც ცდილობდა მოწინააღმდეგისთვის პრობლემების შექმნას. მე-60 წუთზე მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა ცვლილება განახორციელა – ლუკა იმნაძის ნაცვლად, მოედანზე გიორგი კოხრეიძე შეუშვა, რომელიც საშინაო მატჩებში გუნდის „ჯოკერად" იქცა. 19-წლამდელთა ნაკრების ფორვარდმა სამწვრთნელო შტაბს იმედები არც ამჯერად გაუცრუა და ბურთთან პირველივე შეხება გოლად აქცია – კოხრეიძემ საჯარიმოს გარეთ მოიპოვა ბურთი, მარჯვენა ფეხით ძლიერად დაარტყა და მეკარე უშანსოდ დატოვა, 2:0.

დარჩენილ დროში სტუმრები მატჩის გადარჩენას ცდილობდნენ, მასპინძლები კი თავს კარგად იცავდნენ. საბოლოოდ საბურთალო შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა და აქტივს მნიშვნელოვანი 3 ქულა შემატა.

**კოლხეთი-სამტრედია 1:2**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

0:1 ჩაგელიშვილი (7), 1:1 კოვტალიუკი (49), 1:2 სანდოხაძე (87პ)

კარგი სტარტის შემდეგ ზედიზედ მესამე მოუგებელი შეხვედრა ჩაატარა ფოთის კოლხეთმა. გელა სანაიამ გუნდმა ამჯერად სამტრედიას უმასპინძლა და ქობულეთის „ჩელე არენაზე" გამართული შეხვედრა იმერული კლუბის გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

ანგარიში მე-7 წუთზე გაიხსნა, სწრაფი კონტრიერიში გოლად დავით ჩაგელიშვილმა აქცია. პირველი ნახევრის დარჩენილი დრო ორმხრივი შეტევებით წარიმართა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

მასპინძლებმა წონასწორობის აღდგენა 49-ე წუთზე მოახერხეს: რუდოლფ სუხომლინოვის შეცდომით ფოთელთა ბომბარდირმა, მიკოლა კოვტალიუკმა ისარგებლა და მიმდინარე სეზონში მეხუთე გოლი გაიტანა. გატანილი გოლის შემდეგ კოლხეთმა უფრო აქტიურად შეუტია და რამდენიმე რეალური მომენტიც შექმნა. ყველაზე სახიფათო და რეალური კი შოთა კერძევაძის შორეული დარტყმა იყო, რომელიც ომარ მიგინეიშვილმა გაჭირვებით მოიგერია.

საბოლოოდ კი სამტრედიელებმა გაიტანეს: 87-ე წუთზე პენალტი ზუსტად ნიკა სანდოხაძემ შეასრულა და სამტრედიას მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 7 | 5 | 0 | 2 | 12-4 | 15 |
| 2.ლოკომოტივი | 7 | 4 | 2 | 1 | 18-7 | 14 |
| 3.საბურთალო | 7 | 4 | 0 | 3 | 8-8 | 12 |
| 4.ტორპედო | 7 | 3 | 3 | 1 | 9-6 | 12 |
| 5.ჩიხურა | 7 | 3 | 1 | 3 | 8-7 | 10 |
| 6.სამტრედია | 7 | 3 | 1 | 3 | 6-8 | 10 |
| 7.დინამო (ბთ) | 7 | 3 | 0 | 4 | 5-6 | 9 |
| 8.დილა | 7 | 1 | 4 | 2 | 7-8 | 7 |
| 9.კოლხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-13 | 7 |
| 10.შუქურა | 7 | 0 | 2 | 5 | 5-21 | 2 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე – 8 ბურთი, მამია გავაშელიშვილი (ორივე ლოკომოტივი) – 6; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი) – 5.

## შედეგები

15-16 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ბორნმუთი 4:0
კრ.პალასი-ლესტერი 2:2
ევერტონი-ბარნლი 3:1
სტოკი-ჰალი 3:1
სანდერლენდი-ვესტ ჰემი 2:2
უოტფორდი-სუონსი 1:0
საუთჰემპტონი-სიტი 0:3
ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული 0:1
მანჩესტერი-ჩელსი 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 32 | 24 | 3 | 5 | 65-27 | 75 |
| 2.ტოტენჰემი | 32 | 21 | 8 | 3 | 68-22 | 71 |
| 3.ლივერპული | 33 | 19 | 9 | 5 | 69-40 | 66 |
| 4.სიტი | 32 | 19 | 7 | 6 | 63-35 | 64 |
| 5.მანჩესტერი | 31 | 16 | 12 | 3 | 48-24 | 60 |
| 6.ევერტონი | 33 | 16 | 9 | 8 | 60-37 | 57 |
| 7.არსენალი | 30 | 16 | 6 | 8 | 61-39 | 54 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 12 | 8 | 13 | 39-42 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 31 | 11 | 7 | 13 | 37-40 | 40 |
| 10.უოტფორდი | 32 | 11 | 7 | 14 | 37-52 | 40 |
| 11.სტოკი | 33 | 10 | 9 | 14 | 37-48 | 39 |
| 12.ლესტერი | 32 | 10 | 7 | 15 | 41-53 | 37 |
| 13.ვესტ ჰემი | 33 | 10 | 7 | 16 | 44-59 | 37 |
| 14.ბარნლი | 33 | 10 | 6 | 17 | 33-47 | 36 |
| 15.კრ.პალასი | 32 | 10 | 5 | 17 | 44-52 | 35 |
| 16.ბორნმუთი | 33 | 9 | 8 | 16 | 45-63 | 35 |
| 17.ჰალი | 33 | 8 | 6 | 19 | 34-67 | 30 |
| 18.სუონსი | 33 | 8 | 4 | 21 | 37-68 | 28 |
| 19.მიდლსბრო | 31 | 4 | 12 | 15 | 22-37 | 24 |
| 20.სანდერლენდი | 32 | 5 | 6 | 21 | 26-58 | 21 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-მალაგა 2:0
ხიხონი-რეალი 2:3
ატლეტიკო-ოსასუნა 3:0
ბარსელონა-სოსიედადი 3:2
ლეგანესი-ესპანიოლი 0:1
ვალენსია-სევილია 0:0
ბეტისი-ეიბარი 2:0
გრანადა-სელტა 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 31 | 23 | 6 | 2 | 82-33 | 75 |
| 2.ბარსელონა | 32 | 22 | 6 | 4 | 91-30 | 72 |
| 3.ატლეტიკო | 32 | 19 | 8 | 5 | 59-24 | 65 |
| 4.სევილია | 32 | 18 | 8 | 6 | 56-39 | 62 |
| 5.ვილიარეალი | 31 | 15 | 9 | 7 | 45-24 | 54 |
| 6.ბილბაო | 32 | 16 | 5 | 11 | 45-37 | 53 |
| 7.სოსიედადი | 32 | 16 | 4 | 12 | 48-45 | 52 |
| 8.ეიბარი | 32 | 14 | 8 | 10 | 52-44 | 50 |
| 9.ესპანიოლი | 32 | 13 | 10 | 9 | 44-42 | 49 |
| 10.სელტა | 31 | 13 | 5 | 13 | 48-51 | 44 |
| 11.ვალენსია | 32 | 11 | 7 | 14 | 47-54 | 40 |
| 12.ალავესი | 31 | 10 | 10 | 11 | 29-38 | 40 |
| 13.ლას პალმასი | 32 | 10 | 8 | 14 | 51-57 | 38 |
| 14.ბეტისი | 32 | 9 | 7 | 16 | 35-51 | 34 |
| 15.მალაგა | 32 | 8 | 9 | 15 | 36-49 | 33 |
| 16.დეპორტივო | 32 | 7 | 10 | 15 | 35-50 | 31 |
| 17.ლეგანესი | 32 | 6 | 9 | 17 | 26-49 | 27 |
| 18.ხიხონი | 32 | 5 | 7 | 20 | 34-64 | 22 |
| 19.გრანადა | 32 | 4 | 8 | 20 | 27-68 | 20 |
| 20.ოსასუნა | 32 | 3 | 8 | 21 | 32-73 | 17 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-აინტრახტი 3:1
მაინცი-ჰერტა 1:0
ვოლფსბურგი-ინგოლშტადტი 3:0
აუგსბურგი-კიოლნი 2:1
ჰოფენჰაიმი-გლადბახი 5:3
ლაიპციგი-ფრაიბურგი 4:0
ლევერკუზენი-ბაიერნი 0:0
ვერდერი-ჰამბურგი 2:1
დარმშტადტი-შალკე 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 21 | 6 | 2 | 71-15 | 69 |
| 2.ლაიპციგი | 29 | 19 | 4 | 6 | 55-30 | 61 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 29 | 14 | 12 | 3 | 56-31 | 54 |
| 4.დორტმუნდი | 29 | 15 | 8 | 6 | 62-33 | 53 |
| 5.ჰერტა | 29 | 13 | 4 | 12 | 37-35 | 43 |
| 6.ფრაიბურგი | 29 | 12 | 5 | 12 | 36-51 | 41 |
| 7.კიოლნი | 29 | 10 | 10 | 9 | 42-36 | 40 |
| 8.ვერდერი | 29 | 11 | 6 | 12 | 46-49 | 39 |
| 9.გლადბახი | 29 | 11 | 6 | 12 | 37-41 | 39 |
| 10.აინტრახტი | 29 | 10 | 8 | 11 | 29-33 | 38 |
| 11.შალკე | 29 | 10 | 7 | 12 | 38-34 | 37 |
| 12.ლევერკუზენი | 29 | 10 | 6 | 13 | 42-44 | 36 |
| 13.ვოლფსბურგი | 29 | 9 | 6 | 14 | 30-42 | 33 |
| 14.ჰამბურგი | 29 | 9 | 6 | 14 | 29-53 | 33 |
| 15.მაინცი | 29 | 9 | 5 | 15 | 37-47 | 32 |
| 16.აუგსბურგი | 29 | 8 | 8 | 13 | 28-46 | 32 |
| 17.ინგოლშტადტი | 29 | 8 | 4 | 17 | 31-50 | 28 |
| 18.დარმშტადტი | 29 | 5 | 3 | 21 | 21-57 | 18 |

**იტალია. სერია ა**

ინტერი-მილანი 2:2
რომა-ატალანტა 1:1
პალერმო-ბოლონია 0:0
კალიარი-კიევო 4:0
ტორინო-კროტონე 1:1
ფიორენტინა-ემპოლი 1:2
პესკარა-იუვენტუსი 0:2
ჯენოა-ლაციო 2:2
სასუოლო-სამპდორია 2:1
ნაპოლი-უდინეზე 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 26 | 2 | 4 | 64-20 | 80 |
| 2.რომა | 32 | 23 | 3 | 6 | 70-27 | 72 |
| 3.ნაპოლი | 32 | 21 | 7 | 4 | 75-33 | 70 |
| 4.ლაციო | 32 | 18 | 7 | 7 | 54-36 | 61 |
| 5.ატალანტა | 32 | 18 | 6 | 8 | 53-35 | 60 |
| 6.მილანი | 32 | 17 | 7 | 8 | 49-35 | 58 |
| 7.ინტერი | 32 | 17 | 5 | 10 | 59-37 | 56 |
| 8.ფიორენტინა | 32 | 14 | 10 | 8 | 50-41 | 52 |
| 9.ტორინო | 32 | 11 | 12 | 9 | 60-53 | 45 |
| 10.სამპდორია | 32 | 12 | 9 | 11 | 40-39 | 45 |
| 11.უდინეზე | 32 | 11 | 7 | 14 | 41-43 | 40 |
| 12.კალიარი | 32 | 11 | 5 | 16 | 45-62 | 38 |
| 13.კიევო | 32 | 11 | 5 | 16 | 35-49 | 38 |
| 14.ბოლონია | 32 | 9 | 8 | 15 | 29-46 | 35 |
| 15.სასუოლო | 32 | 10 | 5 | 17 | 40-50 | 35 |
| 16.ჯენოა | 32 | 7 | 9 | 16 | 32-53 | 30 |
| 17.ემპოლი | 32 | 6 | 8 | 18 | 20-50 | 26 |
| 18.კროტონე | 32 | 5 | 6 | 21 | 26-52 | 21 |
| 19.პალერმო | 32 | 3 | 7 | 22 | 25-67 | 16 |
| 20.პესკარა | 32 | 2 | 8 | 22 | 31-70 | 14 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-ნანსი 3:1
მონპელიე-ლორიანი 2:0
რენი-ლილი 2:0
გენგამი-ტულუზა 2:1
მეცი-კაენი 2:2
მონაკო-დიჟონი 2:1
ნანტი-ბორდო 0:1
მარსელი-სტ.ეტიენი 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 32 | 24 | 5 | 3 | 90-27 | 77 |
| 2.პსჟ | 32 | 23 | 5 | 4 | 66-21 | 74 |
| 3.ნიცა | 33 | 21 | 10 | 2 | 55-27 | 73 |
| 4.ლიონი | 32 | 17 | 3 | 12 | 65-39 | 54 |
| 5.ბორდო | 33 | 14 | 10 | 9 | 47-39 | 52 |
| 6.მარსელი | 33 | 14 | 9 | 10 | 48-38 | 51 |
| 7.სტ.ეტიენი | 32 | 11 | 12 | 9 | 35-29 | 45 |
| 8.გენგამი | 33 | 12 | 8 | 13 | 40-44 | 44 |
| 9.რენი | 33 | 10 | 13 | 10 | 31-37 | 43 |
| 10.ნანტი | 33 | 11 | 9 | 13 | 31-47 | 42 |
| 11.ტულუზა | 33 | 10 | 11 | 12 | 34-35 | 41 |
| 12.მონპელიე | 33 | 10 | 9 | 14 | 47-55 | 39 |
| 13.ანჟე | 33 | 11 | 6 | 16 | 32-43 | 39 |
| 14.ლილი | 33 | 10 | 7 | 16 | 31-41 | 37 |
| 15.მეცი | 32 | 9 | 9 | 14 | 31-61 | 36 |
| 16.კაენი | 33 | 9 | 6 | 18 | 33-56 | 33 |
| 17.ნანსი | 33 | 8 | 7 | 18 | 25-44 | 31 |
| 18.ლორიანი | 33 | 9 | 4 | 20 | 37-64 | 31 |
| 19.დიჟონი | 33 | 6 | 11 | 16 | 41-52 | 29 |
| 20.ბასტია | 32 | 6 | 10 | 16 | 26-46 | 28 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## რაგბის კავშირი საეჭვო მატჩებს გამოიძიებს



საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება ახლახან დასრულდა, თუმცა ბოლო ტურის რამდენიმე მატჩმა საეჭვო ვითარებაში ჩაიარა. ჭორები და მითქმამოთქმა მრავლად იყო. სწორედ ამიტომ, იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა გავრცელებული ხმები სიმართლეს, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გამგეობის სხდომის მოწვევა გადაწყვიტა. გაგაცნობთ მის განცხადებას:

2017 წლის 18 აპრილს საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში გაიმართება კავშირის გამგეობის სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

2017 წლის აპრილის თვეში გამართული კალენდარული მატჩების განხილვა, რომლებიც გაიმართა სარაგბო კლუბებს (გუნდებს) შორის:

1. არმია-ყოჩები: 2017 წლის 8 აპრილი;
2. ყოჩები-არმაზი: 2017 წლის 2 აპრილი;
3. აია-ბაგრატი: 2017 წლის 8 აპრილი.

აღნიშნული მატჩები შესწავლილი იქნება იმ მიზნით, რომ დადგინდეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი რაიმე ტიპის გარიგებას კლუბებს (გუნდებს) შორის ან ხომ არ დარღვეულა რაგბის ქარტიის პრინციპები მატჩებთან დაკავშირებული ურთიერთობებისას.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ შევინარჩუნოთ ლამაზი ღიმილი

ეკა ირემაშვილი

**ლამაზი ღიმილი ნებისმიერ ადამიანს უფრო ახალგაზრდასა და მიმზიდველს აჩენს. სტომატოლოგებმა და ორთოდონტებმა შეიმუშავეს 7 ძირითადი წესი, რომლებიც ადამიანებს უკეთესი ღიმილის შენარჩუნებაში დაეხმარება.**

როგორ ვიზრუნოთ ლამაზ ღიმილზე, რა სიხშირით უნდა ვეწვიოთ სტომატოლოგს და რა ახდენს უარყოფით გავლენას პირის ღრუს ჯანმრთელობაზე? – ამ თემებზე ორთოდონტი ნინო ესაკია საუბრობს.

**ნინო ესაკია:**

– ალბათ, ახალი არ არის, რომ ლამაზი ღიმილი უფრო ახალგაზრდასა და მიმზიდველს გაჩენთ. ჯანსაღი კბილები და ღრძილები გავლენას ახდენს თქვენს ზოგად ჯანმრთელობაზე. ლამაზი ღიმილისთვის ჩვენს რჩევებს თუ მიჰყვებით, გადადგამთ მნიშვნელოვან ნაბიჯებს ზოგადი ჯანმრთელობისთვისაც.

იხეხეთ რეგულარულად – კბილების გახეხვისას იცილებთ საჭმლის ნარჩენებს, რომლითაც იკვებება ბაქტერიები. ამ დროს იწმინდება კბილები და სუნთქვაც ხდება ჯანსაღი. ფტორირებული კბილის პასტები აძლიერებს მინანქარს, კბილები უნდა იხეხოთ მინიმუმ ორი წუთი, რათა ამ პროცესმა შედეგი გამოიღოს.

იხმარეთ ფლოსი ყოველდღიურად – ის აღწევს კბილებშორის საკონტაქტო ზედაპირზე, აშორებს საკვების ნარჩენებსა და ბაქტერიებს, რომელსაც ვერ სწვდება კბილის ჯაგრისი. ის გვეხმარება ღრძილების დაავადებების პროფილაქტიკაში. ფლოსის გამოყენება რეკომენდებულია დღეში ორჯერ. თუ ორჯერ ვერ ახერხებთ, ძილის წინ აუცილებელია ფლოსის მოხმარება. ძილის დროს ნერწყვის გამოყოფა შემცირებულია, ვერ ხდება კბილების თვითწმენდა, შედეგად კბილები და ღრძილები ბაქტერიებისგან დაუცველია.

ესტუმრეთ თქვენს სტომატოლოგს წელიწადში ორჯერ – ჩაიტარეთ კბილების პროფესიონალური წმენდა. პროფილაქტიკურ ვიზიტებზე შესაძლებელია ღრძილების ან კბილების დაავადების საწყის სტადიაზე აღმოჩენა. ამ დროს მკურნალობაც უფრო მარტივია. თუ მიდრეკილი ხართ ღრძილების დაავადების ან კარიესისკენ, რეკომენდებულია ოთხ თვეში ერთხელ ვიზიტი სტომატოლოგთან.

იკვებეთ ჯანსაღად – მიირთვით კალციუმით გაჯერებული საკვები. კალციუმი გვეხმარება, შევინარჩუნოთ ძლიერი ძვლები და კბილები. ციტრუსებში არსებული ვიტამინი ცე გვეხმარება ღრძილების ჯანსაღად შენარჩუნებაში. შაქრის შემცველი საკვები ხელს უწყობს ბაქტერიების გამრავლებას, ამიტომ, თუ ტკბილეულს მიირთმევთ, აუცილებლად მალევე გაიხეხეთ კბილები. თუ იმ მომენტში ამის საშუალება არ გაქვთ, წყალი გამოივლეთ.

ნუ მოსწევთ სიგარეტს! – მწეველები ოთხჯერ უფრო მიდრეკილნი არიან ღრძილების დაავადებისკენ, ვიდრე არამწეველები. მოწევისას იზრდება პირის ღრუს, ტუჩების, ენის, ლოყისა და ღრძილების კიბოს რისკი. თამბაქოს მოხმარებისას სუნთქვა უარესდება, ყალიბდება ჰალიტოზი.

გაითეთრეთ კბილები – თუკი თქვენი ექიმის მიერ დანიშნულ მათეთრებელ საშუალებას გამოიყენებთ და დანიშნულებისამებრ მიიღებთ, კბილებს დაზიანება არ ემუქრება. სანამ გათეთრებას დაიწყებდეთ, კონსულტაცია გაიარეთ თქვენს სტომატოლოგთან, დარწმუნდეთ თქვენი კბილებისა და ღრძილების ჯანმრთელობაში.

გამოიყენეთ კოსმეტიკური პროცედურები – პირველი შეხვედრისას რასაც ადამიანი ამჩნევს თქვენს ღიმილში, არის უსწორმასწორო, ლაქებიანი კბილები ან რომელიმე კბილის ნაკლებობა ანუ არარსებობა. დღესდღეობით კოსმეტიკურ სტომატოლოგიაში ახალი მიღწევებია, რომლებიც ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ.



ნინო ესაკია:

კულტურა

# ჯაბა კილაძე: „მრცხვენია ჩემს ფინანსურ მდგომარეობაზე ასეთ ტონში ლაპარაკი“



მარჯანიშვილისა და თავისუფალი თეატრების მსახიობი ჯაბა კილაძე საზოგადოებას ბოდიშს უხდის და აცხადებს, რომ რცხვენია საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე ასეთ ტონში ლაპარაკი, მაგრამ გაჩუმებაც აღარ შეუძლია.

**ჯაბა კილაძე:**

– ჩვენ ვართ კულტურის სფეროს წარმომადგენლები და, შესაბამისად, გვევალება, რომ უფრო კულტურული ფორმით გამოვხატოთ ჩვენი ნებისმიერი პროტესტი, მაგრამ ეს მინისტრსაც ავალდებულებს, რომ მისი ტონი, მისი ნებისმიერი საქციელი იყოს ძალიან გაწონასწორებული და ძალიან ზუსტად შერჩეული.

ამ ადამიანს არ ვიცნობ, მქონდა მისდამი პატივისცემა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ორ დღეში ისეთი რაღაცები დავინახე, რასაც მინიმუმ კულტურის მინისტრისგან არ უნდა ვხედავდე. ის ჩაერთო ძალიან ცუდად დისკუსიაში და დაეშვა იმაზე ქვევით, ვიდრე შეიძლებოდა.

საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ეს არ იყო მსახიობების პრეტენზია, ეს იყო ერთი კონკრეტული მსახიობის გამოთქმული აზრი თავის ოჯახზე. ეს აგორდა, დაიხვია ხელზე ყველამ და საბოლოოდ კონკრეტული პრობლემის ჩვენება არ მოხდა. სიუჟეტებზე წერია, რომ ჩვენ ვართ გაჭირვებულები, ამ დროს ვიღაც გვეხმარება, ჩვენ ვართ მშიერი სეგმენტი და ყველა ვაგინებთ გიორგაძეს, რომ მან მოგვცეს ფული. ეს არის ტყუილი, ჩვენ არ გვშია, ჩვეულებრივად ვცხოვრობთ, ამ ქვეყანაში ვართ და ვარსებობთ. ასეთი ინტერპრეტაცია ამას არ უნდა მიეცეს. მაგრამ თეატრში რომ არის ფინანსური პრობლემები, ამაზე შემიძლია ვილაპარაკო და ნებისმიერს შემიძლია დავუმტკიცო, რომ ეს მართლა ასეა.

მინისტრმა თქვა, დიახ, თეატრებმა თვითონ უნდა ირჩინონ თავი, გაყიდონ ბილეთები და მოიზიდონ მაყურებელიო. მინისტრიც ცხოვრობს ამ ქვეყანაში, ალბათ აქვს სტატისტიკა, იცის სოციალური ფონი როგორია ქვეყანაში. 15-17 ლარად გაყიდული ბილეთები 500-600 ადგილიან დარბაზში 9-10 ათას ლარს ურტყამს. რანაირად შეიძლება ამით თეატრმა თავი შეინახოს?!

ორ თეატრში ვმუშაობ, სახელმწიფო თეატრშიც და კერძო თეატრშიც – მარჯანიშვილის თეატრშიც და თავისუფალ თეატრშიც. კარგად ვიცი, კერძო თეატრს რამდენად უჭირს. ზუსტად ვიცი, რას ნიშნავს, როცა ჩვენ, მსახიობები, სათითაოდ ვითვლიდით მაყურებლებს, 2 კაცი თუ აკლდა დარბაზში, 20 თეთრი გვაკლდებოდა. ამაზე ხმამაღლა არასდროს მისაუბრია, მრცხვენია ჩემს ფინანსურ მდგომარეობაზე ასეთ ტონში ლაპარაკი. ყველას მაგივრად მრცხვენია და ყველას მაგივრად ვუხდი საზოგადოებას ბოდიშს, რომ ჩვენ მათ ეს დეტალები ასე ღიად დავანახეთ. მწყინს, რომ ხალხმაც ასე ადვილად დაიჯერა, რომ თითქოს ჩვენ ვართ საწყალი ტიპები, რომლებიც ხალხს თავს ვაცოდებთ. ნურავის ნუ დაგავიწყდებათ, რომ თავს არავის გამადლით, იმიტომ, რომ თავს ვერ დაგამადლებთ, თქვენ თეატრი გჭირდებათ, ისევე, როგორც ჩვენ გვჭირდებით თქვენ. ერთმანეთის გარეშე ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ.

მიმაჩნია, რომ მინისტრის იმედი უნდა მქონდეს, იმიტომ, რომ ის არის ჩემი მინისტრი და ჩემი მინისტრი, რომელიც ამ არგუმენტებით მელაპარაკება, მისი იმედი არ მაქვს. მე მისი სხვა პროექტი ნანახი მაქვს, მისი პროექტის ბილეთის საფასურიც ვიცი და ეს ყველამ კარგად იცის და, შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანს გარკვეულ სეგმენტში მენეჯმენტი გამართულად შეუძლია. ე.ი. თეატრი ისე ღრმად და საფუძვლიანად არ ესმის, თორემ მაშინ იმ არგუმენტებს, თუნდაც თეატრის ხელმძღვანელების საპირისპიროდ, რომ პრობლემები მათი ბრალია, არ იტყოდა, – განაცხადა მსახიობმა „360 გრადუსში“ სტუმრობისას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## სოსო ლაღიძე 2 ოქროს მედლით დააჯილდოვეს



რუსთაველის თეატრის მსახიობი სოსო ლაღიძე 2 ოქროს მედლით დააჯილდოვეს. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი რუსთაველის თეატრში გაიმართა, რომელსაც მსახიობის კოლეგები და მეგობრები ესწრებოდნენ.

ჯილდო მსახიობმა თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრში ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნის“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში ისიდორეს როლის შესრულებისთვის და სომხურ-ქართული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისა და განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის მიიღო.

სოსო ლაღიძე ოქროს მედლებით სომხეთის კულტურის სამინისტრომ და სომხეთის თეატრალურმა საზოგადოებამ დააჯილდოვა.

## ასტროპროგნოზი

**18 აპრილისათვის**



**ვერძი** – კოსმოსი ენერგიით გაძლიერებთ. ნებისმიერ საქმეს გაუმკლავდებით. **კურო** – ინტუიციას მიენდეთ. ჯანსაღი საკვები მიიღეთ. წვრილმანებზე ენერგიას ნუ დახარჯავთ. **ტყუპები** – ნებისყოფა მოიკრიბეთ. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. მოაწესრიგეთ ბინა. **კირჩხიბი** – საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა იდეალური არ არის. ამიტომ ემოციები მოთოკეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** – ყურადღება არ მოადუნოთ. ფინანსები აკონტროლეთ. ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. **ქალწული** – იფრთხილეთ. ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **სასწორი** – კომპრომისზე წასვლა დღეს სავალდებულოა. დღის მეორე ნახევარში აქტიურობა არასასურველია. **ღრიანკალი** – წინააღმდეგობრივი დღეა. სამსახურში წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად რისკიან ნაბიჯებს გადადგამთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ მარტო დარჩენას. საოჯახო საქმეების მოგვარება და გადაღლა სასურველი არ არის. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დიდი ყურადღება და წინდახედულობა გმართებთ. **მერწყული** – ბიუჯეტი გულმოდგინედ აკონტროლეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **თევზები** – მიღწეულით ნუ დაკმაყოფილდებით. სასურველი შედეგის მისაღებად დიდი შრომა დაგჭირდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ძალიან იშვიათი ნივთი; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 4. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 5. თეთრეულის, ტანსაცმლის კარადა; 8. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 12. ხის ქოშები; 13. სამეცნიერო დაწესებულება; 14. მტაცებელი ფრინველი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 20. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 9. აეროპორტი პარიზში; 10. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი მასწავლებელი; 11. კოსმოდრომი რუსეთში; 15. შუშხუნა ღვინოების დასაყენებელი სპეციალური რეზერვუარი; 17. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 19. ესპანელი მხატვარი; 21. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 22. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 23. ოდესის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. მალთაყვა; 4. იზორია; 6. თუთიყუში; 8. ბისონი; 11. კელასური; 12. ბორჯომი; 16. დელტა; 17. ჰერტა; 18. ვაშლი.

**თარაზულად:** 1. მესხეთი; 5. გოეთე; 7. მალხაზი; 9. ასტურია; 10. ფრიმანი; 13. ნარვალი; 14. ფეტიში; 15. მომა; 19. ოჯალეში; 20. ბენეფისი; 21. სალუქვაძე; 22. დინარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პრატერი; 2. ყაბალახი; 3. ზენიტი; 4. მუაში; 5. ბიპოლიდი; 8. შუშაბანდი; 12. ელბა; 13. ფლამინგო; 14. ფრახტი; 16. ტავერნა; 18. კარნე; 20. ტატა.

**თარაზულად:** 6. ერისტიკა; 7. ფრეჟიუსი; 8. შირაქი; 9. მენიუ; 10. სალონიკი; 11. ბუდეშური; 15. ალმადოვარი; 17. კამენა; 19. ტრიტიკალე; 21. სნუკერი; 22. მონორელსი; 23. ლაქტოზა.

## ამერიკელი გველის საბელის გარეშე გასეირნებისთვის დააჯარიმეს



ამერიკის სამხრეთ დაკოტას შტატის ქალაქ სუ-ფოლსის მცხოვრები მამაკაცი 190 დოლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ თავის სამეფო პითონს საბელის და საყელურის გარეშე ასეირნებდა.

ცხოველთა კონტროლის სამსახური მამაკაცით მას შემდეგ დაინტერესდა, როდესაც მოქალაქეებმა საჩივრით მიმართეს პარკში მოსრიალე გველის თაობაზე. პითონის მფლობელი ამტკიცებს, რომ გაოგნდა, როდესაც მასთან სამსახურის თანამშრომელი მივიდა და ჯარიმა გამოუწერა „თავისუფლად მორბენალი ცხოველის" გამო.

– მან ფაქტიურად მიბრძანა, რომ გველი თოკით დამება, – განაცხადა მამაკაცმა.

ცხოველთა კონტროლის სამსახურის თანამშრომელმა ჯული დედჯონგმა განაცხადა, რომ ქალაქში მოქმედი კანონები კრძალავს ქუჩაში შინაური ცხოველის საბელის გარეშე გამოყვანას. გველის ქუჩაში გასეირნება კოლოფით შეიძლებოდა.

– თუ ის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საბელის გარეშე გადაადგილდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ის თავისუფლად დარბის, – განმარტა მან და იქვე დაამატა, – კანონი ცხოველებს ერთმანეთისგან არ არჩევს.

დედჯონგმა ისიც აღნიშნა, რომ გველების მოყვარულებმა უნდა გაითვალისწინონ ის ნეგატიური ემოციები, რომელსაც სხვა ადამიანებში მათი ცხოველი იწვევს.

## ჩინეთის ზოოპარკში დათვის ექსკრემენტების გატანაში ფული უნდა გადაიხადოთ



ჩინეთის ხუბეის პროვინციაში მდებარე ზოოპარკში მსურველებს უფლება მისცეს თეთრი დათვების ვოლიერები დაასუფთაონ, მხოლოდ ამაში მათ ფული უნდა გადაიხადონ.

ამის უფლება მსურველებს კვირაში ერთხელ ეძლევათ, თუმცა ამისთვის წინასწარ დარეგისტრირებაა საჭირო. 998 იუანის გადახდის შემდეგ, დალაგების მსურველი გადის სამედიცინო შემოწმებას და ისმენს ხანმოკლე ლექციას ცხოველებზე. შემდეგ ის გამოეწყობა დეზინფიცირებულ სპეცტანსაცმელში და სამი საათით შედის თეთრი დათვების ვოლიერში. მას მოუწევს ვოლიერის დასუფთავება, საჭმლის მომზადება და ცხოველის გამოკვება.

ადგილობრივმა მცხოვრებმა, რომელიც პირველი კლიენტი აღმოჩნდა, ხუმრობით განაცხადა, რომ ფულს იმაში იღებენ, რომ დათვის ექსკრემენტების სუნი შეიგრძნო. თუმცა, ამის მიუხედავად, ის მაინც კმაყოფილი დარჩა, რომ ახლოდან ნახა თეთრი დათვი და მის ფონზე სელფიც გადაიღო.

## ავსტრალიელმა მეზღვაურმა დიდი თეთრი ზვიგენი იატაკის საწმენდი ჯოხით გააგდო



ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ პორტ-ფეირის მცხოვრებმა მეზღვაურებმა იატაკის საწმენდი ჯოხი გამოიყენეს დიდი თეთრი ზვიგენის მოსაგერიებლად.

თეთრი ზვიგენი იმ იახტით დაინტერესდა, რომლითაც ადგილობრივი სათევზაო კომპანიის თანამშრომლებს თევზაობის მოყვარულები ზღვაში სათევზაოდ ჰყავდათ წაყვანილი. მტაცებლის გამოჩენისთანავე, ერთ-ერთი მეზღვაური იატაკის საწმენდი ჯოხით შეიარაღდა და ცდილობდა მისი დახმარებით გაეგდო ზვიგენი, რათა მას ძრავა არ დაეზიანებინა. კომპანიის მფლობელის მტკიცებით, მათ არაერთხელ გაუგდიათ ზღვის მტაცებლები ასეთი საშუალებით.

შეგახსენებთ, რომ თეთრი ზვიგენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტაცებელი თევზია დედამიწაზე. საშუალოდ ისინი 4,6-4,8 მეტრს აღწევენ სიგრძეში, მაგრამ ამავე დროს ექვსი მეტრის სიგრძის ზვიგენებიც არსებობენ და ისინი ადამიანისთვის ყველაზე საშიშ სახეობად ითვლებიან.

## აქლემმა ტურისტებს საჭმელი შეუჭამა



ტურისტებმა, რომლებიც ამერიკის ტეხასის შტატში საფარი-პარკს სტუმრობდნენ, ვიდეოზე გადაიღეს თავიანთი შეხვედრა აქლემთან და სირაქლემასთან.

ცხოველებმა ავტომობილს, რომლითაც ორი ქალი და გოგონა მგზავრობდნენ, გზა გადაუღობეს. აქლემმა უცერემონიოდ შეყო თავი მანქანის ღია ფანჯარაში, პირი დაავლო ქაღალდის პაკეტს, რომელიც მძღოლის სავარძლის გვერდით იდო და მასში მოთავსებული საჭმლიანად შეახრამუნა.

ქალებმა ამის შემდეგ სასწრაფოდ დახურეს ფანჯარა, რათა იგივე სირაქლემასაც არ გაეკეთებინა, რის საპასუხოდაც ფრინველმა მანქანას გარედან რამდენჯერმე ჩაუნისკარტა.

## ინდოეთში კობრამ ტურისტს სურათის გადაღების დროს უკბინა



ინდოეთის რაჯასტანის შტატის ქალაქ ჯოდხუპურში კობრამ უკბინა ტურისტს, რომელიც სურათის გადასაღებად მასთან ერთად პოზირებდა.

აღსანიშნავია, რომ გველების მომთვინიერებელმა რეპტილია უცნობ მამაკაცს კისერზე შეასვა. კობრამ ტურისტს ლოყაზე უკბინა. მამაკაცი მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მიხვდა, რაც მოხდა და გონება დაკარგა.

გავრცელებული ინფორმაციით, ტურისტი კბენიდან ერთ საათში გარდაიცვალა. რომელი ჯიშის კობრა დაესხა თავს მამაკაცს, უცნობია. ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე ყველაზე გავრცელებულ სახეობად სათვალიანი კობრა ითვლება.

## კანადაში მამაკაცს თავს ირემი დაესხა



კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციაში ავტომობილიდან გადმოსულ 25 წლის მამაკაცს ირემი დაესხა თავს. ვიდეოსათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული შემთხვევა ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეკომპანიამ ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ერთ დღე-ღამეში ვიდეოკლიპმა 2,5 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ თავდასხმის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი არ დაშავებულა.

## გერმანელმა ტრაქტორისტმა მგზავრებიანი კაბრიოლეტი ნეხვში ამოსვარა



გერმანიის ქალაქ მიუნხენიდან 30 კილომეტრში ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გზატკეცილზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად კაბრიოლეტის ტიპის მსუბუქი ავტომობილის სალონი თხევადი ნეხვით აღმოჩნდა მოსვრილი.

გერმანიის პოლიციის მონაცემებით, რენოს მარკის კაბრიოლეტი გზის პირას იყო გაჩერებული. ამ დროს მას გვერდით ჩაუარა ტრაქტორმა, რომელსაც მისაბმელით ნეხვი გადაჰქონდა. მოულოდნელად ის მანქანისკენ მოცურდა და მისაბმელის შიგთავსი მანქანის სალონში ჩაიღვარა.

52 წლის მამაკაცი და მისი 14 წლის გოგონა, რომლებიც კაბრიოლეტში ისხდნენ, თავიდან ფეხებამდე თხევადი ნეხვით ამოისვარნენ, თუმცა არ დაშავებულან. ასევე არ დაშავებულა ტრაქტორისტიც. პოლიციაში აღნიშნეს, რომ, სავარაუდოდ, მსუბუქი ავტომობილი გაფუჭებულია და აღდგენას არ ექვემდებარება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

## პედოფილებთან მებრძოლებმა ბრიტანელს დასვენება ჩაუშალეს



46 წლის ქვრივი მამაკაცი, რომელიც ბრიტანეთის სურეის საგრაფოში დასვენებისა და გართობის პარკში თავის 13 წლის ქალიშვილთან ერთად მივიდა, პედოფილი ეგონათ.

კრეიგ დარველი და მისი ქალიშვილი მილი დაბინავდნენ სასტუმროში, რომელიც პარკის მახლობლად მდებარეობს. სასტუმროს თანამშრომელმა მამაკაცს მოსთხოვა დაემტკიცებინა, რომ ის ნამდვილად გოგონას მამა იყო და განუმარტა, რომ ასეთი იყო კომპანიის წესები.

– მომიწია ფეისბუქში საკუთარი გვერდი გამეხსნა და მენახვებინა შეტყობინებები, რომელსაც შვილს ვუგზავნიდი, – განაცხადა დარველმა, – ამის შემდეგ მან მითხრა, რომ უკვე დარეკილი ჰქონდა პოლიციაში, ასე რომ, იძულებული გავხდით, მათ მოსვლას დაველოდებოდით. ადგილზე მისული სამართალდამცავები მაშინვე მიხვდნენ, რომ მათი გამოძახება შეცდომა იყო და მამაკაცს თავი დაანებეს.

სასტუმროს წარმომადგენელმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ბატონ კრეიგ დარველს ბოდიში მოუხადეს. მან ასევე აღნიშნა, რომ კომპანია საკუთარ ვალდებულებად მიიჩნევს ბავშვების დაცვას და ამ საქმეს დიდი სერიოზულობით უდგება.

დარველის თქმით კი, ამ ფაქტმა მას დასვენება გაუფუჭა.

## ირანში სიგარეტის კანალიზაციაში ჩაგდებას აფეთქება მოჰყვა



ქალაქის ქუჩაში მიმავალი მამაკაცის მიერ კანალიზაციის ხვრელში სიგარეტის ნამწვის ჩაგდებას აფეთქება მოჰყვა.

აღნიშნული ინციდენტი ქუჩის სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა და, სავარაუდოდ, ეს ყოველივე თეირანში მოხდა. აფეთქების შედეგად მამაკაცი ძირს გართხმული აღმოჩნდა. ვიდეოკამერის მიერ გადაღებულ ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ცდილობს ის, აფეთქების ეპიცენტრიდან მოშორებით გადახოხდეს.

თავდაპირველად ვიდეორგოლი ტვიტერში საკუთარ აკაუნტში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა გამოაქვეყნა, რომელსაც დაურთო კომენტარი, რომ საკანალიზაციო ჭებში სიგარეტის ნამწვის ჩაგდება მეტად სახიფათოა.

## ნარკომანი პითონი ავსტრალიის ციხეში „გამოსწორდა"



ავსტრალიაში ორი მეტრი სიგრძის პითონი ნარკოტიკების მოხმარების ჩვევისგან გაათავისუფლეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პითონი ფარულ ლაბორატორიაში ბინადრობდა, სადაც მეტამფეტამინს ამზადებდნენ. აორთქლებულმა ქიმიურმა ნაერთებმა და ჰაერში მოხვედრილმა ნარკოტიკული ნივთიერებების ნაწილაკებმა ქვეწარმავალი ნარკომანად აქცია. პოლიციური ოპერაციის შემდეგ რეპტილია სამართალდამცავთა ხელში აღმოჩნდა. ის სიდნეის ციხესთან არსებულ ცხოველებისთვის განკუთვნილ მსხვილ კომპლექსში გადაიყვანეს.

ცენტრის თანამშრომელ იენ მიტჩელის თქმით, თავდაპირველად გველი მოუსვენრად, აგრესიულად და გაუგებრად იქცეოდა, განსხვავებით სხვა თანამოძმეებისგან, რომლებიც მშვიდები არიან და ნელა მოძრაობენ. ის გაუთავებლად მოძრაობდა სპეციალურ კონტეინერში, რომელშიც ის მოათავსეს.

ქვეწარმავლის ნარკოდამოკიდებულებისგან სრულად გათავისუფლებას შვიდი თვე დასჭირდა.

## გარეული ცხენი ალიგატორს თავს დაესხა



ამერიკის ფლორიდის შტატის ერთ-ერთ ნაკრძალში ტურისტები მოულოდნელად გარეული ცხენის ალიგატორზე თავდასხმის თვითმხილველები გახდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ტურისტმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ წევს გზაზე ალიგატორი, რომლის სიგრძეც ერთ მეტრს მნიშვნელოვნად აღემატება, ხოლო იქვე შორიახლოს ცხენები ბალახს ძოვენ. მალე ერთ-ერთი ცხენი რეპტილიასთან მიიჭრა და რამდენჯერმე წიხლი ჩასცხო. ალიგატორი შეეცადა, ამ მოქმედების პასუხად ცხენისთვის ეკბინა, მაგრამ მან გახტომა მოასწრო.

ტურისტი ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევის შედეგად არც ცხენსა და არც ალიგატორს სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ.

– როდესაც წამოვედით, მათ სისხლის დენის ნიშნები არ ეტყობოდათ, – დაწერა ტურისტმა ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში. ვიდეორგოლი უკვე 570 ათასზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა.

## პლანეტის უხუცესი ადამიანი გარდაიცვალა



იტალიელი ემა მორანო, რომელიც დედამიწის უხუცეს ადამიანად ითვლებოდა, 117 წლისა და 137 დღის ასაკში მყოფი გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას იტალიური მედია ავრცელებს.

საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლოდ იტალიელი ქალბატონი დღეში სამი კვერცხის, დაკეპილი ხორცის მიღებასა და მარტოობას ასახელებდა.

მორანო პლანეტის უხუცეს მცხოვრებად 2016 წლის მაისში აღიარეს, მას შემდეგ, რაც ამერიკელი სუზანა მუშატ ჯონსი გარდაიცვალა. ასევე იტალიელი ქალბატონი უკანასკნელ ადამიანად ითვლებოდა, რომელიც 1900 წლამდე იყო დაბადებული.

## „მაესტროს ექსკლუზივი“ დაიხურა



ტელეკომპანია მაესტროზე კიდევ ერთი გადაცემა დაიხურა. არხის რეორგანიზაციის მიზნით რამდენიმე გადაცემა მისმა ხელმძღვანელობამ უკვე დახურა.

მათ რიცხვს შეემატა „მაესტროს ექსკლუზივი“, სადაც საზოგადოებისთვის სხვადასხვა სფეროდან ცნობილი ადამიანები სტუმრად მიდიოდნენ და ყველანაირი ოფიციოზის გარეშე წამყვანის კითხვებს გულწრფელად პასუხობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გადაცემას მაყურებელი არ აკლდა, ხელმძღვანელობამ მისი შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. გადაცემის დახურვასთან დაკავშირებით ინფორმაცია მისმა წამყვანმა მერიკო კარტოზიამ გაავრცელა.

## მანანა ბერიკაშვილი მადლობას იხდის



კულტურის მინისტრის მოადგილე და გივი ბერიკაშვილის შვილი მანანა ბერიკაშვილი ქართველ საზოგადოებას საჯაროდ უხდის მადლობას. მადლიერებას იგი მამის გივი ბერიკაშვილის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარებისა და ტკივილის გაზიარების გამო გამოხატავს.

— დიდი მადლობა ყველას ასეთი სიყვარულის, სითბოსა და თანადგომისთვის. მას თქვენ ნამდვილი, წრფელი და უანგარო სიყვარულით უყვარდით!

გივი ბერიკაშვილი რამდენიმე დღის წინ ავადმყოფობის შედეგად 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი საბურთალოს ამაღლების ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

## ჰოლივუდის უნიკალური კოლექცია ხელოვნების სასახლეში გამოიფინება

პირველად საქართველოში ხელოვნების სასახლეში ჰოლივუდთან დაკავშირებული მასშტაბური კოლექცია გამოიფინება.

ჰარისონ ფორდის, ტიმ ბარტონის, დენი დევიტოს, კლინტ ისტვუდის, სპაიკ ლისა და სხვა ლეგენდარული რეჟისორისა თუ მსახიობის ხელმოწერილი ნივთები...

11 ოსკარზე ნომინირებული, ოქროს გლობუსისა და სხვა მრავალი უმაღლესი ჯილდოს მფლობელი ფილმის „ნიუ იორკის ბანდების“ პერსონაჟის უნიკალური კოსტიუმი...



ლეგენდარული ამერიკული ფილმის „ბეტმენის“ მთავარი გმირის ნიღაბი და იარაღი — „ბეტარანგი“ სხვა უნიკალურ მემორიალურ ნივთებთან ერთად ხელოვნების სასახლის საგამოფენო დარბაზებში დამთვალიერებლისათვის 18 აპრილიდან გამოიფინება.

ორიგინალ აფიშებთან, ხელნაწერებთან, პარტიტურებთან და კინორეკვიზიტებთან ერთად საზოგადოებას საშუალება ექნება, იხილოს კევინ კოსტნერის, უიტნი ჰიუსტონისა და გარი კემპის ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ლეგენდარული ფილმის „პირადი მცველის“ ორიგინალ სცენარს წარმოადგენს.

გამოფენა ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლის იუბილეს.

ექსპოზიციის განსაკუთრებული და მემორიალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნივთები საქართველოში მხოლოდ ერთი კვირით გამოიფინება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

მარინა ტატიშვილი, რუსუდან ძაგანია, გიზო და გელა ოთარაშვილები იუწყებიან

### ირაკლი გოცირიძის

გარდაცვალებას და გულისტკივილით თანაუგრძნობენ ღრმა მწუხარებაში დედას, ქალბატონ ელზას, მეუღლეს ხათუნას, ძმებს მამუკასა და მამაო გიორგისა და მათი ოჯახის წევრებს.

**გამოსვენება:** 18 აპრილს, 14 საათზე, წმინდა პანტელეიმონის ეკლესიიდან (რესპ. საავადმყოფო).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ელენე მაცხონაშვილი ქეთი დოლიძეს უპირისპირდება



თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ელენე მაცხონაშვილი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ქეთი დოლიძეს უპირისპირდება და საჯაროდ ღია წერილით მიმართავს:

— მე უკვე დიდი გოგო ვარ და თქვენი „კუკარაჩა“ ნანახი მაქვს!

ვიცი, ბევრს დავწერ. მერე გამახსენდება, რომ ვრცელ წერილებს აღარ კითხულობენ და შევამოკლებ... ამიტომ რეზულტატი დარედაქტირებული იქნება.

როცა რამდენიმე დღის წინ კულტურის სამინისტროზე ეს თავდასხმა დაიწყო, არ მინერვიულია, რადგან კულტურის სამინისტროში ქალბატონ ქეთიზე არანაკლებ „მიუღებელი პერსონა“ ვარ, ქრონიკულად უკმაყოფილო მე. ამის დასტურია კულტურის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი აუდიტი, რომელიც ორი კვირაა უკვე თეატრში გვიზის და ხელს და ნერვებს თანაბრად გვიშლის. მაგრამ ყველაფერს აქვს დადებითი მხარე — რადგან სრულყოფილად ვერ ვმუშაობ, დრო გამომიჩნდა. დავფიქრდი და ვიპოვე 10 განსხვავება:

1. მიხეილ გიორგაძის გარდა, თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი, შესაბამისად, ბავშვებიც, ყოველთვის, ყველა ხელისუფლების პირობებში არცერთ კულტურის მინისტრს, რბილად რომ ვთქვა, არ აინტერესებდა და არაპოლიტკორექტულად რომ ვთქვა, ძალიან ფეხებზე ეკიდა. ნიკა რურუა იყო ის კულტურის მინისტრი, რომლის დროსაც ეს თეატრი ქუჩაში აღმოჩნდა.

2. მიხეილ გიორგაძეა ის ერთადერთი კულტურის მინისტრი, რომელიც დანიშვნისთანავე თოჯინების თეატრში და, როგორც ვიცი, ყველა სხვა დანარჩენ სსიპ-შიც პირადად მივიდა და ადგილზე გაეცნო პრობლემებს.

3. მიხეილ გიორგაძის ინიციატივით მოიძებნა თბილისის თოჯინების თეატრისთვის ადგილი მშენებლობისთვის, მოძიებულ იქნა რამდენიმე მილიონი, დაპროექტდა, დაიგეგმა და დაიწყო მშენებლობა, ამავე პროექტშია თეატრალური უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია, თელავის თეატრი, ახალციხის თოჯინების თეატრი და ასე შემდეგ.

4. მინისტრის ძალისხმევით თბილისის თოჯინების თეატრს 83-წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად ექნება საკუთარი შენობა.

5. კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ვიმყოფებოდით ლონდონში, სადაც დავიწყეთ მუშაობა პროექტზე „შშმ პირების დასაქმება თოჯინების თეატრის ბაზაზე“.

6. სამინისტროს მხარდაჭერით გაჩნდა ახალი სპექტაკლები რეპერტუარში, მათ შორის უფროსი თაობის მაყურებლისთვის.

7. ამავე მინისტრის ხელშეწყობით 2014-2017 წლებში ვიმყოფებოდით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყაზახეთში, ბულგარეთში, სომხეთში, დიდ ბრიტანეთში, ტაილანდში, გვინდოდა ედინბურგშიც და, დარწმუნებული ვარ, 200.000-იანი ბიუჯეტით ხუთი თეატრალური დასი მაინც წარდგებოდა ქართული თეატრალური ხელოვნების მეტი და უფრო თვალსაჩინო პოპულარიზაციისთვის, არა მთელი თვით, ცხადია. ისე, თუნდაც ერთი კვირით.

8. პირველად გვაქვს თეატრსა და სამინისტროში არსებულ დეპარტამენტებს შორის ხშირად საქმიანად დაძაბული, განსხვავებული პოზიციებისგან შემდგარი, მაგრამ ძალიან საქმიანი, ყოველდღიური ურთიერთობა.

9. წინა ხელისუფლების მინისტრები არაფერს აკეთებდნენ და მაინც უმოწყალოდ აპიარებდნენ საკუთარ საქმიანობას. ეს აკეთებს და არ აპიარებს, არ ვიცი, რატომ.

10. 2014-2016 წლებში დინამიკაში გაგვეზარდა ბიუჯეტი თუმცა, 2016 წლის დეკემბერში, ისევე, როგორც ყველას, ჩვენც დაგვაკლდა ავადსახსენებელი 10%. ჩვენც მხოლოდ სახელფასო ფონდი გვაქვს და აი, ამაში ნამდვილად მართალია მინისტრი — ეს არასწორი მენეჯმენტის შედეგია. ყოველ გაზრდილ ბიუჯეტზე მირჩევდნენ, რომ ეს რესურსი სადადგმო, კომუნალური ან საგასტროლო ფონდისთვის გადამედო, მაგრამ ჰო, ძალიან მინდოდა, კაი ტიპი ვყოფილიყავი და ხელფასებში გავუშვი. ამიტომაც მომიწია რამდენიმე თანამშრომლის გათავისუფლება და ცალსახად ჩემი ბრალია.

ჩვენი, ხელმძღვანელების პრეროგატივაა ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა და ხელფასების გადანაწილებაც. ჩვენ, სამწუხაროდ, ის თეატრი ვართ, რომელიც ფონდ „ქართუდანაც“ არაფერს იღებს და მაინტერესებს, რატომ ვერ გრძნობდა თოჯინების თეატრი თქვენს მხარდაჭერას, როცა წინა ხელისუფლებამ ის შენობიდან გამოაძევა. რატომ არ გვესმოდა თქვენი ხმა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, როცა ქუჩაში დავყიალობდით?!

ქალბატონი ქეთი ჩვენთან არა, მაგრამ ერთხელ ვნახე „მოზარდში“. მთელი სპექტაკლი მობილურით თამაშობდა. ნეტავ საერთოდ არ ყოფილიყო იქ. ჰოდა, რას ვამბობდი?.. დავფიქრდი და მივხვდი, მე არ ვეტრფი კულტურის მინისტრს და სტრატეგიაშიც შეიძლება არ დავეთანხმო, მაგრამ ამ ერთი, კონკრეტული თეატრის, მისი ძალიან და ყველაზე საპატიო, პატარა მაყურებლის სახელით უნდა ვთქვა, რომ მისი ყოფნა ამ პოსტზე, მეტი ხნით და არასამუდამოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხოლო იმის დასტურად, რომ მეც თქვენნაირი ვარ, გეტყვით, რომ ბებიაჩემიც დიდი ვინმე იყო, სახლი არ მაქვს, მეც მშია ხოლმე, სამი შვილი მყავს, იმათაც შიათ ხოლმე, მაგრამ დამსახურებისა და წარმომავლობის ხარჯზე აღარ გვინდა, რა. ავწიოთ ეს კოლექტიური ტ..კი და ვიაროთ წინ!

ჩვენ ჰოლივუდზე გავედით, ერთ ფილმში უკვე გადაიღეს ჩვენი სპექტაკლი და სექტემბერში სრულმეტრაჟიან ფილმს იღებენ ისევ ჩვენზე. ესეც ჩვენი მოვალეობების ნაწილია. რა უნდა ზურა ყიფშიძის რანგის მსახიობის გაყიდვას?! ძალიან მცირე ძალისხმევაა ამისთვის საჭირო, მერწმუნეთ.

აქ ის დავწერე და ვიგულისხმე, თუ რა მაგარი შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალი, მეტადრე კი დირექტორი ჰყავს თოჯინების თეატრს, კიდევ... რა მაგარი გოგო ვარ მე და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ათას დაბრკოლებასა და „კუკარაჩას“ გადავახტით, რომ არა კულტურის სამინისტროსა და პირადად მინისტრის მხარდაჭერა, ვერაფერს მივაღწევდით.

პასუხი არ მინდა, არც ხურდა. ნუ დამიბრუნებთ, კანფეტები უყიდეთ ბავშვებს.

ქეთი დოლიძემ ელენე მაცხონაშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა და მხოლოდ ორი ფრაზით შემოიფარგლა: „ნო კომენტ!“

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

### სპორტი

## საქართველომ საფრანგეთთან წააგო



საქართველოს 18 წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ღია ჩემპიონატის ფინალში მასპინძელ საფრანგეთს 2 ლელო დაუდეს, 2 ჯარიმა და ერთი გარდასახვა გაუტანეს, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — 18:36.

ეს იყო ზედიზედ მესამე ფინალი ევროპაში, რომელშიც ერთმანეთს ფრანგი და ქართველი 18-წლამდელები შეხვდნენ. 2015 წელს გადამწყვეტ მატჩში ირლანდიისა და იტალიის ნაკრებების გავლით მოვხვდით და 0:57 დავთმეთ; შარშან ევროპის ჩემპიონატის ელიტ დივიზიონში თამაშზე უარი ინგლისმა, ირლანდიამ, უელსმა, შოტლანდიამ და იტალიამ თქვეს, ფინალში მარტივად გავედით და ფრანგებმა 42:0 იმარჯვეს.

წელს ბრიტანელების ნაცვლად ტურნირს კანადა, აშშ და იაპონია დაემატნენ. საფრანგეთში გამართულ რაგბი ევროპის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა კანადა 43:3, ხოლო ნახევარფინალში იაპონია 42:17 დაამარცხეს და ფინალში მასპინძლებს შეხვდნენ.

ქართველმა 18-წლამდელებმა ნავსი გატეხეს და წელს მოედანი უქულოდ აღარ დატოვეს, ფრანგებს ფინალში პირველად დავუდეთ ლელო — თანაც 2.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## პროგრამა

**სამშაბათი 18 აპრილი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 02.50** "X სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.50** "რეალური სივრცე" **18.00** "მოამბე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** თოქ-შოუ . სპორტი **360** **22.40** **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის პირველი **1/4** ფინალური მატჩი **00.40** მხ/ფ "**ჩემპიონი პოკეისტები**" (პ.ნიუმენი)

**08.00** დ/ფ "ზეთი სიამაყე" **09.00** დ/ფ "ვისკის საიდუმლო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული საყარო" **15.00, 18.00**"ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული საყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **22.45** **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგის პირველი **1/4** ფინალური მატჩი **00.40** "ნამდვილი დრო" **01.10** მხ/ფ "**უკანასკნელ გზაზე**" (ფ. კლუზე)

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** ქ.მხ/ფ "**თეთრი ბაირაღები**" **03.00** მხ/ფ "**მოჩვენება**"

**06.00, 19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.50** ლოტო**22.00** არჩევანი

**08.00** ან/სერ. ფანბოი და ჩამ-ჩამი **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **13.00** სერ. "**აღქმა**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**ინსტრუქციის გარეშე**" **00.45** მხ/ფ "**აუტანელი ბოსები**" **02.30** მხ/ფ "**ჩვენ მილერები ვართ**"

**06.10** სპექტაკლი "**პეპო**" I მოქ. **07.20** დ/ფ "ღვინის მადლი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.35** პატერიკი **10.40** სპექტაკლი "პეპო" II მოქ. **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ "**არდადეგებზე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ტელეზღაპარი "რწყილი და ჭიანჭველა" **15.40** დ/ფ "საბერძნეთი-გზა წმ. პაისიდან წმ. სპირიდონამდე" **16.10** ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე საეკლესიო მხატვრობა" **16.30** სიმღერის კვალდაკვალ "რაჭა" **17.05** ტალანტები და თაყვანისმცემლები "გურამ საღარაძე" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" I ნაწ. **19.50** ღია აუდიტორია "ვახტანგ ლიჩელი" **20.40** ძილი ნებისა "მგელი და კრავი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "წებელდა" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50,** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 აპრილისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3896

ევრო — 2.5418

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9968

100 რუსული რუბლი — 4.2223

## ამინდის პროგნოზი 18 აპრილისთვის





**11 აპრილიდან**

**ბერძნული მითები**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 აპრილიდან**




ლიონ ფოიხტვანგერი

**გოია**

ოქროს ბიბლიოთეკა

**ტომი 24-ე**

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

**19 აპრილიდან**




ჟორჟ სანდი

**ინდიანა**

ოქროს ბიბლიოთეკა

**ტომი 26-ე**

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## იუმორი

მამა შვილს ეუბნება:

– ჩვენს მეზობელთან მიდი და უთხარი, ჩაქუჩი გვათხოვოს, ლურსმანი რომ დავაჭედო.

ცოტა ხანში ბავშვი უკან ხელცარიელი დაბრუნდა და მამას ეუბნება:

– ასე მითხრა, რომ ჩაქუჩს ვერ გათხოვებს, რადგან მალე გაცვდება.

– აი, ხედავ, შვილო, როგორი წუწურაქი მეზობელი გვყავს, მიდი, ჩვენი ჩაქუჩი მომიტანე...

●●●

ლექციაზე ერთ-ერთი სტუდენტი გაუჩერებლად ესაუბრებოდა გვერდით მჯდომს. ბოლოს პროფესორმა ველარ მოითმინა და ეუბნება:

– რამდენი უნდა ილაპარაკო?! გამოდი და ჩემ მაგივრად გააგრძელე ლექცია!

სტუდენტი კათედრასთან გავიდა და აუდიტორიას მიმართა:

– ყველას მადლობა, ლექცია დასრულებულია!

●●●

რუსულ სამხედრო ნაწილში შემოწმებაა. სამხედრო ექიმი სერჟანტს ეკითხება:

– რა ღონისძიებებს მიმართავთ ინფექციის პროფილაქტიკისთვის?

– თავდაპირველად წყალს ვადუღებთ.

– კარგია, შემდეგ?

– ვფილტრავთ.

– შესანიშნავია. შემდეგ რას აკეთებთ?

– შემდეგ, ყოველგვარი რისკი რომ გამოირიცხოს, არაყს ვსვამთ...

●●●

სიდედრი სიძეს ეკითხება:

– ჩემთან რომ მოდიხარ, ხომ ხედავ, რომ შპალერი დახეთქილია, ჭერზე ლაქებია, სანტექნიკა დამტვრეულია და რატომ არ მეხმარები, რატომ არაფერს აკეთებ?

– ეს ბინა ჩემი არ არის და რისთვის შევიწუხო თავი?!

სიდედრი დატრიალდა, ბინა სასწრაფოდ სიძეზე გადააფორმა და ერთი თვის შემდეგ სიძეს ისევ ეუბნება:

– აბა, სიძევ ბატონო, ახლა რატომღა არ აკეთებ „რემონტს"?

– კი მაგრამ, ეს ბინა ხომ შენი არ არის და რატომ იწუხებ თავს?!

●●●

ცოლმა ქმარს საყვარელთან შეუსწრო, კედლიდან თოფი გადმოიღო და ქმარს ფეხებს შორის დაუმიზნა. ქმარი ევედრება:

– ძვირფასო, ასე არ შეიძლება! ერთი შანსი მაინც მომეცი!

– კარგი! მიდი, აქეთ-იქით გააქნიე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## ტონი ადამსმა გრანადასთან ერთად სადებიუტო მატჩი 0:3 წააგო




ესპანურმა კლუბმა გრანადამ ტონი ადამსის ხელმძღვანელობით პირველი შეხვედრა ჩაატარა და საკუთარ მოედანზე სელტასთან 0:3 დამარცხდა.

მიუხედავად მარცხისა, მატჩის შემდეგ ადამსი ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

– ვფიქრობ, რომ ესპანეთის ჩემპიონატი მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ჩემპიონატია. აქ ქულების მოპოვება ძალიან რთულია. დღეს ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ მეტოქემ გვაჯობა. შევეცდები, რომ გრანადაში მდგომარეობა გამოვასწორო, – განაცხადა ტონი ადამსმა.

გრანადა ამჟამად სატურნირო ცხრილში მე-19 ადგილზე იმყოფება და იმის შანსი, რომ ადამსის გუნდი არ გავარდება, საკმაოდ მცირეა.

## ტიბო კურტუამ ტრავმა რეკლამაში გადაღების დროს მიიღო



ჩელსის მეკარე ტიბო კურტუამ მანჩესტერ იუნაიტედთან შეხვედრა გამოტოვა ტრავმის გამო, რომელიც მან რეკლამაში გადაღების დროს მიიღო.

როგორც აღმოჩნდა, კურტუა რეკლამის დროს კალათბურთს თამაშობდა და თამაშის დროს მან ფეხი დაიზიანა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ შეხვედრას გამოტოვებს ბელგიელი მეკარე, თუმცა, სავარაუდოდ, ის კიდევ ერთი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება თავის გუნდს.

მანჩესტერთან შეხვედრაში კურტუა ასმირ ბეგოვიჩმა შეცვალა და, სავარაუდოდ, მომავალ მატჩებშიც ჩელსის კარს ბეგოვიჩი დაიცავს.

მანჩესტერთან ჩელსიმ 0:2 წააგო და საჩემპიონო ბრძოლაში ინტრიგა დააბრუნა.

## ნეიმარს ბარსელონის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის სჯერა



ბარსელონის ბრაზილიელ ფორვარდ ნეიმარს სჯერა, რომ მის გუნდს იუვენტუსთან სამბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა შეუძლია.

მისი თქმით, ბარსელონას ძალუძს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლა.

– იუვენტუსთან ძალიან გაგვიჭირდება, რადგან ამ გუნდს კარგად ორგანიზებული დაცვა ჰყავს და სოლიდური უპირატესობა აქვს. იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ, იმაზე ორჯერ მეტი უნდა ვირბინოთ, ვიდრე ამას ჩვეულებრივად ვაკეთებთ ხოლმე. მჯერა, რომ წარმატებას მივაღწევთ, თუმცა ეს ურთულესი იქნება, – განაცხადა ნეიმარმა. ბარსელონისა და იუვენტუსის მატჩი 19 აპრილს გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა პლეი ოფი გამარჯვებით დაიწყეს



გოლდენ სტეიტმა პლეი ოფი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო. დასავლეთ კონფერენციის მეოთხედფინალურ სერიაში ოკლენდელებმა პორტლენდს უმასპინძლეს და 121:109 გამარჯვებით 1:0 დაწინაურდნენ.

მატჩი ბოლო მეოთხედამდე თანაბარი იყო. პირველ ათწუთეული გოლდენ სტეიტმა 4 ქულით მოიგო, მეორე ამდენივეთი დათმო, ხოლო მესამე პერიოდი ფრედ დასრულდა. ბოლო ათწუთეულში კი ოკლენდელებმა დამაჯერებლად ითამაშეს როგორც დაცვაში, ისე – შეტევაში და სერიის პირველი მატჩი მოიგო.

პორტლენდი ტრავმირებული ბოსნიელი ცენტრის იუსუფ ნურკიჩის გარეშე თამაშობდა, თუმცა დამიან ლილარდი და სი-ჯეი მაკოლუმი დიდებულად გაისარჯნენ. პირველმა 34, ხოლო მეორემ – 41 ქულა მოაგროვა, მაგრამ გუნდურად მოთამაშე გოლდენ სტეიტის წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ.

ოკლენდელთა შორის 32 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგ დუბლს უწია კევინ დიურანტმა. სამმაგ დუბლამდე 1 პასი დააკლდა დრეიმონდ გრინს, რომელმაც 19 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი, 5 დაფარება და 3 ჩაჭრა დააგროვა. 29 ქულით გამოირჩა სტეფ კარი, ხოლო კლეი ტომპსონის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა.

გოლდენ სტეიტის სასტარტო ხუთეულის კიდევ ერთმა წევრმა – საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, ზაზა ფაჩულიამ 12 წუთი ითამაშა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 4 ქულას 2 მოხსნა და 1 პასი მოაყოლა.

სერიის მეორე მატჩი კვლავ ოკლენდში გაიმართება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 2. გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი; 3. ფრანგი მოქანდაკე, ნიუ იორკში თავისუფლების ქანდაკების ავტორი; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 8. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 12. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის" ფეხბურთელი; 16. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 17. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ინგლისში; 18. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო.

**თარაზულად:** 1. ჰაერში დაგროვილი შესქელებული წყლის ორთქლი; 5. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 7. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 9. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონის" ფეხბურთელი; 10. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი; 13. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 15. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 20. ბადაგისგან მომზადებული ტკბილეული; 21. კინოფილმების „დავით გურამიშვილისა" და „ჩერმენის" კინორეჟისორი; 22. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

